

ინფორმაცია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 11 ნოემბრის N21/6838 წერილით განსაზღვრული საკითხების/შენიშვნების შესახებ

1. გზშ-ის ანგარიშში მითითებულია, რომ ჰომოგენურად შესქელებული კუდები პირველი სატუმბი სადგურისა და 7.8 კმ სიგრძის საშუალებით მიეწოდება დამწნევ სატუმბ სადგურს. წარმოდგენილი SHP ფაილების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ მილსადენის დერეფნის ჯამური სიგრძეა 16,856 კმ. შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.

- ჯამური სიგრძე 16.856 კმ დათვლილია საპროექტო დერეფნის პოლიგინალური ვექტორული ფენის მიხედვით, მილსადენი არის ხაზოვანი ობიექტი, შესაბამისად ხაზოვან ვექტორულ ფენაში მილის სიგრძე ერთი მიმართულებით არის 7.86 კმ.

2. წარდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო მილსადენი კვეთს ზედაპირული წყლის ობიექტებს (მდ. მაშავერა, მდ. კაზრეთულა, უსახელო ხევი). გზშ-ის ანგარიშში მოიცავს ინფორმაციას ზედაპირული წყლის ობიექტების გადაკვეთების ტექნიკური გადაწყვეტების შესახებ, თუმცა გადაკვეთების დასაბუთებისთვის წარდგენილი არ არის საპროექტო კვეთებში მდინარის ჰიდროლოგიური პირობების (მაქსიმალური ხარჯები, კალაპოტის გარეცხვის სიღრმე და ა.შ.) შესახებ ინფორმაცია და ჩატარებული კვლევების შედეგები.

- კუდებისა და შებრუნებული წყლის საპროექტო მილსადენის დერეფანი თავის მარშრუტზე გამამდიდრებელი ფაბრიკიდან საპროექტო კუდსაცავის მიმართულებით კვეთს სხვადასხვა ობიექტებსა და კომუნიკაციებს, მათ შორის მდ. მაშავერას, მდ. კაზრეთულას და უსახელო ხევს.

პროექტირების პროცესში კონტრაქტორი კომპანიის (შპს „კაემჯი კონსალტინგი“) მიერ ინფრასტრუქტურული ობიექტების და ზედაპირული წყლის ობიექტების საპროექტო მილსადენით თითოეულ გადაკვეთაზე მომზადდა ლოკალური საინჟინრო პროექტი.

პროექტში განხილულია თითოეული გადაკვეთისთვის დეტალური საინჟინრო გადაწყვეტები და ჰიდროლოგიური პირობების კვლევები, კერძოდ მაქსიმალური ხარჯის, შეტბორვის დონის და კალაპოტის გარეცხვის სიღრმის განსაზღვრა.

საპროექტო კვეთებში მდ. მაშავერას, მდ. კაზრეთულას და უსახელო ხევის ჰიდროლოგიური პირობების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით (იხ. დანართი 2. მდ. მაშავერას, მდ. კაზრეთულას და უსახელო ხევის ჰიდროლოგიური პირობები).

3. გზშ-ს ანგარიშის მიხედვით, პროექტის ფარგლებში დადგენილია მისასვლელი გზების მოწყობა და არსებული გზების ზოგიერთი მონაკვეთის სავალი ნაწილის გაფართოება და რებილიტაცია. წარმოდგენილი არ არის აღნიშნული გზების შესახებ დეტალური ინფორმაცია (სიგრძე, სიგანე, ქანობი და ა.შ.), ასევე შეფასებული არ არის მისასვლელი გზების მშენებლობისა და არსებული გზების რეაბილიტაციის/გაფართოების შედეგად გარემოს კომპონენტებზე (მათ შორის ბიომრავალფეროვნებაზე) შესაძლო ზემოქმედება.

ამასთან, მისასვლელი გზები ასახული უნდა იქნეს shp ფაილებში და თანხვედრაში იყოს გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილ სქემატურ ნახაზებთან.

▪ 3.1. სატრანსპორტო კომუნიკაციები და მისასვლელი გზები

გარე ტვირთებისა და მოწყობილობა-დანადგარების ტრანსპორტირებისათვის გამოიყენება ძირითადად საავტომობილო ტრანსპორტი.

ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის საერთაშორისო ავტომაგისტრალი წარმოადგენს ძირითად დამაკავშირებელ არტერიას სამშენებლო მოედანთან.

მიწის სამუშაოების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, პროექტი მიზნად ისახავს არსებული გზების მაქსიმალურად გამოყენებას.

სამშენებლო სამუშაოთა ჩატარებისათვის გამოიყენება არსებული სატყეო გზები, რომლებსაც ჩაუტარდებათ რეაბილიტაცია, გაფართოვდებიან და მოეწყობა ხრემის დატკეპნილი საფარი.

კერძოდ, არსებული გზებიდან გათვალისწინებულია ხეობაში შემავალი გრუნტის საფარიანი გზის რეაბილიტაცია (მოხრეშვა და ფორმირება) ძირითადად არსებულ საზღვრებში, გაფართოება მოხდება ხეობის ზედა ნაწილში არსებულ მონაკვეთში, რომელიც მოქცეული კუდსაცავის დამბის და სატუმბის სადგურის არეალში.

აღნიშნული გზის პარამეტრებია:

- სიგრძე: 2 144 მ
- სიგანე: 10 მ.
- ქანობი: 4 %

უშუალოდ საპროექტო კუდსაცავის განთავსების ადგილამდე მისასვლელად დაგეგმილია შიდა გზების მოწყობა.

გზის პროექტირებისას გათვალისწინებული იქნება მშენებლობისთვის გამოყენებული სტანდარტული სატვირთო მანქანების გაბარიტები.

აღნიშნული გზის საპროექტო პარამეტრები შემდეგია:


- გზის სიგრძე: 2 594 მ
- სიგანე: 12 მ
- საშუალო ქანობი: 7-7.8 %

ნახაზზე 3.1. მოცემულია მისასვლელი და შიდა (საპროექტო) გზების მდებარეობა.

კუდებისა და შებრუნებული წყლის მილსადენების დერეფანში ასევე მოეწყობა დროებითი სამშენებლო გზა. დერეფნის სიგანე იძლევა ამის საშუალებას.

გზების ნაწილი (მაგ. კერძო ნაკვეთებში გამავალი) დაექვემდებარება აღდგენას, ხოლო დარჩენილი ნაწილი, ისევე როგორც დამბის შემთხვევაში შემდგომში დარჩება ოპერირების უზრუნველყოფისათვის.

ნახაზი 3.1. საპროექტო და არსებული (სარეაბილიტაციო) მისასვლელი გზების მონაკვეთები



3.2. გზების მშენებლობის და რეაბილიტაციის შედეგად გარემოს კომპონენტებზე (მათ შორის ბიომრავალფეროვნებაზე) შესაძლო ზემოქმედების აღწერა

გზების მოწყობა/რეაბილიტაციის პროცესი ძირითადად დაკავშირებული იქნება მიწის და ტერიტორიაზე არსებული ხე-ტყის გაკაფვის სამუშაოებთან.

აღნიშნულის შედეგად მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შეფასების მიზნით, გამოყოფილია გარემოს შემდეგი კომპონენტები:

- ატმოსფერული ჰაერი
- ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები
- ბიომრავალფეროვნება
- ნიადაგი

მოსალოდნელი ზემოქმედების მართვისა და ზემოქმედების შერბილების კუთხით განსაზღვრულია შესაბამისი ღონისძიებები.

3.2.1. ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების აღწერა და შემარბილებელი ღონისძიებები

პროექტით გათვალისწინებული მისასვლელი გზების მოწყობა-რეაბილიტაცია დაკავშირებული იქნება მიწის სამუშაოებთან სპეც. ტექნიკის გამოყენებით.

სამუშაოებიდან გამომდინარე მშენებლობის პერიოდში შესაძლებელია ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუარესება გამოიწვიოს გზის მოწყობისას ან რეაბილიტაციისას საექსკავაციო-სატრანსპორტო ოპერაციების დროს წარმოქმნილი მტვერის ფორმირებამ და წვის პროდუქტებმა, ასევე გამოწვეულმა ხმაურმა.

აღნიშნული სახის სამუშაოების შედეგად მტვერის გავრცელება და ხმაურით შეწუხება მოსალოდნელი არ არის უახლოეს დასახლებულ პუნქტების, მათი დიდი მანძილით დაშორების გამო (სოფ. გეტა ≈ 1835 მ და სოფ. ბალიჭი ≈ 1837 მ).

საპროექტო ტერიტორიაზე აღნიშნული სამუშაოების შედეგად ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებას ემისიების რაოდენობრივი გავრცელების კუთხით დეტალურად აღწერილია გზმ-ს ანგარიშის 14.1. თავში. გვ. 565, ტომი 2.

აღსანიშნავია, რომ უახლოეს საცხოვრებელ ზონას შორის არსებული ბუნებრივი აკუსტიკური ბარიერის გამო, რომელსაც ქმნის არსებული რელიეფი, (მთის ფერდობები, მცენარეები და ჰიფსომეტრიული სხვაობა) მინიმუმამდე ამცირებს ემისიის გავრცელების რისკს.

სამუშაოების წარმართვისას განხორციელდება შემარბილებელი ღონისძიებები რომელიც გულისხმობს:

- ✓ სამუშაოები შეიზღუდება ძლიერი ქარის დროს;
- ✓ განხორციელდება მომზადებული გზის მონაკვეთის და ტექნიკის სამუშაო მოედნის საჭიროებისამებრ მორწყვა ცხელ და მშრალ ამინდებში;
- ✓ მყარფრაქციული მასალები გადაიზიდება ბრეზენტ გადახურული ძარით;
- ✓ გზების საფარის მოსწორება-ფორმირების პროცესი იწარმოებს შესაბამისი სატრანსპორტო ტექნიკის დაცვით;
- ✓ დაცული იქნება გადაადგილების სიჩქარე და მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა;
- ✓ მონიტორინგის გეგმით განსაზღვრულ წერტილებში (უახლოეს რეცეპტორებთან) ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის უზრუნველყოფა სამუშაოების პროცესში;
- ✓ დაცული იქნება შრომის უსაფრთხოების ნორმები.

3.2.2. ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედების აღწერა და შემარბილებელი ღონისძიებები

გზების მოწყობა-რეაბილიტაციის დროს წყლის რესურსებზე მოსალოდნელი ზემოქმედება დაკავშირებული იქნება მიწის სამუშაოებთან სპეც. ტექნიკის გამოყენებით (ექსკავატორები, ბულდოზერები სატვირთო ავტოტრანსპორტი და ა.შ), რომლის შედეგად შედეგად ზედაპირული ან/და მიწისქვეშა (გრუნტის) წყლებზე ზემოქმედების სახეები შეასაძლებელია იყოს სატრანსპორტო საშუალებებიდან და მექანიზმებიდან დაღვრილი ნათობპროდუქტების შედეგად ზემოქმედება ზედაპირული და გრუნტის წყლების ხარისხობრივ მაჩვენებელზე და წვიმის დროს გრუნტოვანი ნაყარი მასის გამორეცხვა და მოხვედრა ზედაპირული წყლის ობიექტებში.

აღსანიშნავია რომ ყველაზე ახლოს ზედაპირული წყლის ობიექტთან დაკავშირებული ლოკაცია წარმოადგენს არსებული სარეაბილიტაციო გზის ნაწილს, რომელიც გადის საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ხევის მარცხენა პერიმეტრზე, რომელიც უკავშირდება მდინარე მამავერას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე განხორციელდება შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებები:

- ✓ აღნიშნული ხევის განაპირას გადასადგილებელი გზების ზედაპირები და კიდეები მოწყობილი იქნება ისე რომ უზრუნველყოს წვიმის დროს წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების ორგანიზებული მართვა და საჭიროების შემთხვევაში მოეწყობა სანიაღვრე წლების შემკრებ-დამლექი გუბურები;
- ✓ მოსაწყობი გზის ნაყარი ფერდები მომზადდება ისე რომ დაცული იქნება წყლისმიერი ეროზიისგან/ჩამორეცხვისგან (დამცავი ბერმებით, გზების ვაკისის ქანობის წყალსატარი კიდიტ და ა.შ)
- ✓ დაწესდება მუდმივი კონტროლი და ზედამხედველობა მომუშავე ტექნიკის გამართულობაზე, საწვავ-საპოხი მასალების დაღვრის კუთხით;
- ✓ გაკონტრლდება ადგილზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება-გატანის პროცედურები;
- ✓ ძლიერი წვიმის დროს შეიზღუდება სამუშაოების წარმოება.

3.2.3. ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების აღწერა და შემარბილებელი ღონისძიებები

კუდსაცავზე მისასვლელი გზის მოწყობისას განხორციელდება არსებული ხე-მცენარეების გაკაფვა, რომელიც განხორციელდება შესაბამისი ტყით სარგებლობის უფლების ფარგლებში.

სამუშაოების შედეგად მოსალოდნელია ზემოქმედება:

- ხე ტყის გაჩეხვის შედეგად მოსალოდნელია ფრინველების ბუდეების და ცხოველების საბინადრო ბუნაგების, სოროების და ფულუროების განადგურება;
- ხე-მცენარეების რაოდენობის შემცირება;
- ტერიტორიაზე მომუშავე ტექნიკის ზემოქმედება ცხოველებზე, როგორიცაა გადადგილებისას შეჯახება და გამოწვეული ხმაური.

ბიომრავალფეროვნებაზე შესაძლო ზემოქმედების ნეგატიური ეფექტის კუთხით, განხორციელდება შემარბილებელი ღონისძიებები, კერძოდ

- ✓ სამუშაოები უნდა განხორციელდეს წინასწარ დადგენილი ტერიტორიული საზღვრების დაცვით, რათა მოხდეს ბიომრავალფეროვნებაზე და მისი გავრცელების ჰაბიტატებზე დამატებითი ზიანის თავიდან აცილება;
- ✓ ტყის კაფვა უნდა განხორციელდეს ისე, რომ თავიდან იქნას არიდებული ხეებზე, ხის ფულუროებში და ხეების ქვეშ არსებულ სოროებში მცხოვრები ცხოველების სიკვდილიანობა. ამ ქმედების განსახორციელებლად დაშვებულია ცხოველების დაფრთხობა-განდევნა ხე-ტყის ჭრის პროცესის დაწყების წინ;
- ✓ ტყის რესურსის ათვისება განხორციელდება ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ გაცემული შესაბამისი უფლებით სარგებლობის ფარგლებში, სატაქსაციო მასალებით და ტყეკაფის დადგენილ საზღვრებში, რათა თავიდან იქნეს აცილებული დამატებითი ზიანი ადგილობრივ ჰაბიტატებზე;

- ✓ ტყის კაფვა განხორციელდება დადგენილი წესის შესაბამისად და პროცესს გააკონტროლებს როგორც კომპანიის, ასევე ეროვნული სატყეო სააგენტოს წარმომადგენელი;
- ✓ მიწის სამუშაოების წარმართვისას (მათ შორის ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა) დაცული იქნება სამუშაო ტექნიკა, გადაადგილების სიჩქარე, ხოლო წვრილი ან მსხვილი ცხოველების (ან საბინადრო გარემოს) გამოვლენის შემთხვევაში, დაყოვნდება სამუშაოები ან საჭიროების შემთხვევაში შეწყდება მდგომარეობის იდენტიფიცირებამდე;
- ✓ ტყის კაფვის სამუშაოების დროს ხელფრთიანების საბინადრო ფულუროების გამოვლენის შემთხვევაში, უნდა მოხდეს მისი დოკუმენტირება და დასურათება, ხოლო პროექტის ზემოქმედების არეალიდან უსაფრთხო დისტანციაზე უნდა დამონტაჟდეს ღამურების საბინადრო ბუდეები (ყუთები).

3.2.4. ნიადაგზე ზემოქმედების აღწერა და შემარბილებელი ღონისძიებები

გზების მოწყობის პროცესში მოსალოდნელია ნიადაგზე ნეგატიური ზემოქმედება, რომელიც შესაძლებელია უკავშირდებოდეს მომუშავე ტექნიკიდან შემთხვევით დაღვრილ საწვავ-საპოხ მსალებს და მის გავრცელებას ნიადაგის ზედაპირზე.

პროცესი ასევე დაკავშირებული იქნება ნიადაგის საფარის მთლიანობის დაღვევასთან, რაც პირდაპირი ზემოქმედება იქნება კუდსაცავზე მისასვლელი გზის მოსწყობის სამუშაოების დროს.

ზემოქმედების შერბილების კუთხით განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- ✓ ნიადაგის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად, დაწესდება მუდმივი კონტროლი და ზედამხედველობა მომუშავე ტექნიკის გამართულობაზე, საწვავ-საპოხი მასალების დაღვრის კუთხით და გააკონტროლდება ნარჩენების მართვის პროცესი.
- ✓ უზრუნველყოფილი იქნება ნიადაგის დაცვის ღონისძიებები და ნაყოფიერი ფენის მართვა (მოხსნა/დასაწყობება) განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილების მოთხოვნათა დაცვით.

კერძოდ, კუდსაცავთან მისასვლელი საპროექტო გზების მოწყობა გათვალისწინებულია კუდსაცავის დამბის ხეობის მარცხენა ფერდის ნაწილზე.

გზების კონტურის უმეტესი ნაწილი გადის ხე-ტყით დაფარულ ტერიტორიაზე და უკავშირდება კუდსაცავის ტბორის და დამბის მოწყობის არეალს.

აღნიშნული გზის სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, გათვალისწინებულია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და კონსერვაციის მიზნით დასაწყობება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე.

გზის პერიმეტრზე ტერიტორიის ძირითადი ნაწილი რელიეფის ფორმა (დახრილობა) და მცენარეული საფარი ერთგვაროვანია, სადაც ტყის ყავისფერი ნიადაგია განვითარებული, ხოლო დიდი ნაწილი უჭირავს საშუალო და მცირე სისქის მთა-ტყე-მდელოს ნიადაგებს.

აღნიშნული ტერიტორიაზე განხორციელებული იქნა სავსე კვლევა ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სიმძლავრის განსაზღვრის მიზნით, რომელიც მოიცავს კუდსაცავის წყალსაგდების და დამბის მარცხენა ხეობის ნაწილს სადაც იგივე კატეგორიის და აღწერილობი რელიეფი და ნიადაგები გვხვდება. (დეტალური ინფორმაცია ღწერილია გზშ-ს 14.7 თავში. გვ.743, ტომი 1.)

ზედაპირიდან გაკეთებული კვებებში განხორციელებული გაზომვის შედეგად განსაზღვრული იქნა ნაყოფიერი ფენის სისქე, რომელიც საშუალოდ შეადგენს - 12 სმ-ს.

მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის რაოდენობა გაანგარიშებული იქნა გზის იმ ნაწილზე რომელიც არ ექვევს საპროექტო კუდსაცავის დამბის და ტბორის ზონაში, რადგან აღნიშნულ ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა მოიხსნება მთლიან ტერიტორიაზე, რომელიც თავის მხრივ მოიცავს გზის გარკვეულ ნაწილსაც დაახლოებით 8744 მ² ფართობს (იხ. ნახაზი 3.2.)

შესაბამისად, მოსაწყობ გზაზე, დაახლოებით 22375 მ² ფართობზე, (კუდსაცავის კონტურს გარეთ დარჩენილ ნაწილზე), განისაზღვრა მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობა რომელიც წინასწარი გაანგარიშებით შეადგენს დაახლოებით - 2 685მ³ -ს.


ტერიტორიაზე ნაყოფიერი ფენის მოხსნა განხორციელდება ხელსაყრელ კლიმატურ პირობებში, სპეციალური ტექნიკის გამოყენებით, გადაიზიდება შიდა გზებით, შეგროვდება და დასაწყობდება სპეციალურად გამოყოფილ 36 500 მ² ფართობის ტერიტორიაზე (კუდსაცავის დასავლეთით) დეტალური ინფორმაცია საწყობის ადგილმდებარეობის შესახებ აღწერილია გზშ-ს თავში 14.7. გვ. 756, ტომი 1).

დასაწყობებული ნაყოფიერი ფენა დაცული იქნება გადარეცხვისაგან, სხვა ქანებთან შერევის და დაბინძურებისაგან, შენარჩუნდება ნიადაგის სტრუქტურა და მისი ნაყოფიერება.

ვინაიდან მოსაწყობის გზების გამოიყენება კომპანიის მიერ გათვლისწინებულია კუდსაცავის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მომსახურებისთვის შესაბამისად, გზის პერიმეტრზე მოხსნილი ნაყოფიერი ფენის უმეტესი ნაწილი (მოცულობის გათვალისწინებით) შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სატრანსპორტო გზის მონაკვეთებში, გზის ნაყარის ფერდების ზედაპირის დასაფარად, ბუნებრივი რემედიაციის ხელშეწყობის მიზნით.

ამასთან, მისასვლელი გზები ასახულია დანართის სახით წარმოდგენილ shp ფაილებში (იხ. დანართი 3. SHP ფაილი).

ნახაზი 3.2. საპროექტო გზის კონტური



4. გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილია სამშენებლო ბაზის სქემატური ნახაზები და გენ-გეგმა, თუმცა სამშენებლო ბაზა სრულად არ არის ასახული SHP ფაილებში.

- სამშენებლო ბაზა ასახულია დანართის სახით წარმოდგენილ shp ფაილებში (იხ. დანართი 3. SHP ფაილი).

5. გზშ-ს ანგარიშში, შემარბილებელი ღონისძიებების ნაწილში გაურკვეველია და დაზუსტებას საჭიროებს შემდეგი ჩანაწერი: „პროექტის ზემოქმედების კუდსაცავის არეალში მხოლოდ ის ტერიტორიები უნდა გასუფთავდეს მერქნიანი მცენარეებისგან, რომლებზეც ნებართვა აქვს გაცემული ქვემო ქართლის სატყეო სამსახურს, რათა თავიდან იქნეს აცილებული დამატებითი ზიანი ადგილობრივ ჰაბიტატებზე“.

- გზშ-ს ანგარიშში მითითებულ ნებართვაში იგულისხმება, საპროექტო კუდსაცავის ტერიტორიაზე, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ გაცემული და შენიშვნების წარმოდგენის თარიღისათვის მოქმედი განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ შესაბამისი ბრძანებები.


გასათვალისწინებელია, რომ 85.5 ჰა (855 056 კვ.მ) მიწის ფართობზე, დადგენილი პროცედურის შესაბამისად, მოთხოვნილია ტყის სტატუსის შეწყვეტა. შესაბამისად, გზშ-ს ანგარიშის ტექსტიდან მოყვანილ პასაჟში იგულისხმება, რომ ტყის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საპროექტო კუდსაცავის არეალში მხოლოდ ის ტერიტორიები გასუფთავდება მერქნიანი მცენარეებისგან, რომლებზეც შეწყვეტილი იქნება ტყის სტატუსი, ხოლო მილსადენის მშენებლობისათვის - მილსადენის დერეფნის ფარგლებში, მხოლოდ ის ტერიტორიები გასუფთავდება მერქნიანი მცენარეებისგან, რომელზეც გაცემულია სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ გაცემული განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ შესაბამისი ბრძანებები. (სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის „სს „RMG Copper“-ისთვის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში, ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის, ბოლნისის-დმანისის სატყეო უბანში, 6 153 კვმ. მიწის ფართობზე განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ“ 15/06/2022 წლის N986/ს ბრძანება და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის „სს „RMG Copper“-ისთვის“ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში, ქვემო ქართლი სატყეო სამსახურის ბოლნისის - დმანისის სატყეო უბანში, 3 883 კვ.მ. მიწის ფართობზე განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ“ 15/06/2022 წლის N 984/ს ბრძანება).

6. ალტერნატიული ვარიანტების შედარებითი ანალიზი ასევე უნდა იქნეს განხილული ბიომრავალფეროვნაზე ზემოქმედების (განსაკუთრებით ტყის ჭრასთან და ცხოველთა სახეობებსა და ჰაბიტატებზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით) კუთხით.

- როგორც გზშ-ს ანგარიშის თავში 3.2. ადგილმდებარეობის ალტერნატივა (გვ. 26) იყო აღნიშნული, 2015-2017 წლებში კომპანია Hatch-ის მიერ განხორციელდა საპროექტო კუდსაცავის განთავსების ექვსი ალტერნატიული ტერიტორიის სკრინინგი.

ტერიტორიების წინასწარი შეფასების საფუძველზე მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მხოლოდ ოთხი ალტერნატიული ტერიტორიის შემდგომი კვლევა.

ნახაზი 6.1. კუდსაცავის განთავსების ალტერნატიული ადგილები



გზმ-ს ანგარიშის აღნიშნულ თავში ასევე განხილული იყო თითოეული ალტერნატიული ტერიტორიის ზოგადი მახასიათებლები და შემზღუდავი ფაქტორები.

აღსანიშნავია, რომ ოთხივე ალტერნატიული ვარიანტი ძირითადად მდებარეობს საქართველოს ეროვნული სატყეო სააგენტოს დაქვემდებარებაში მყოფი ტყის ფონდის მიწებზე. როგორც მოგეხსენებათ ბოლნისის მადნიანი ტერიტორიის უდიდესი ნაწილი დაფარულია ტყის საფარით, ამიტომ კუდსაცავის განთავსებისათვის შესაფერისი ტყით დაუფარავი ტერიტორიის მოძიება ამ შემთხვევაში შეუძლებელია.

ტყე ოთხივე ალტერნატიულ ტერიტორიაზე ერთნაირი ღირებულებისაა და არ აღინიშნება წითელი ნუსხის სახეობების არსებობა. აქედან გამომდინარე ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც გათვალისწინებულ იქნა საბოლოო განთავსების ტერიტორიის შერჩევის დროს იყო გასაჩეხი ტყის ფართობი და გარემოდან ამოსაღები ხეების მერქნის მოცულობა.

ალტერნატიული ტერიტორია №1 (არსებული კუდსაცავის დასავლეთით) – ტერიტორია სრულად დაფარულია ტყით. საპროექტო კუდსაცავის განთავსების ტერიტორიის ფართობი, რელიეფის გათვალისწინებით შეადგენს დაახლოებით 120 ჰა-ს.

ალტერნატიული ტერიტორია №2 - არსებული კუდსაცავის დასავლეთით - ტერიტორია თითქმის სრულად დაფარულია ტყით. საპროექტო კუდსაცავის განთავსების ტერიტორიის ფართობი, რელიეფის გათვალისწინებით შეადგენს დაახლოებით **80 ჰა-ს**.

ალტერნატიული ტერიტორია №3 არსებული კუდსაცავის სამხრეთით - ტერიტორია სრულად დაფარულია ტყით. საპროექტო კუდსაცავის განთავსების ტერიტორიის ფართობი, რელიეფის გათვალისწინებით შეადგენს დაახლოებით **60 ჰა-ს**.

ალტერნატიული ტერიტორია №4 - ღია კარიერის სამხრეთ-აღმოსავლეთით - ტერიტორია სრულად დაფარულია ტყით. საპროექტო კუდსაცავის განთავსების ტერიტორიის ფართობი, რელიეფის გათვალისწინებით შეადგენს დაახლოებით **150 ჰა-ს**.

პროექტის განხორციელებით ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების წარმოქმნად ძირითად ფაქტორებს მიეკუთვნება:

- ხე-ტყის რესურსის ამოღებით გამოწვეული ჰაბიტატის დეგრადაცია, ფრაგმენტაცია და მცენარეების პოპულაციების განადგურება;
- საპროექტო ტერიტორიის ჰაბიტატებთან მჭიდროდ ასოცირებული ცხოველთა სახეობების საცხოვრებელი გარემოს განადგურება და ფაუნისტური მრავალფეროვნების ლოკალური ეროზია;
- ტექნიკური სამუშაოების დროს გამოწვეული ან/და მიგრაციის პროცესში ცხოველთა სიკვდილიანობა.

საპროექტო ტერიტორიებზე 2022-2023 წლებში ჩატარებული ბიოლოგიური კვლევების და სს „RMG Copper“-ის საწარმოო ტერიტორიების მიმდებარედ წლების განმავლობაში ჩატარებული ბიოლოგიური კვლევების შესაბამისად ტერიტორიებზე გავრცელებულ სახეობების ნაწილს მათი გავრცელების ჰაბიტატებთან მჭიდრო ასოცირება ახასიათებთ და მიგრაციული ქცევის თვალსაზრისით - წარმოადგენენ მცირე დისტანციაზე მიგრანტ სახეობებს. შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში მოსალოდნელია ცხოველთა/ფრინველთა მიგრაცია საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ, ანალოგიური ტიპის ჰაბიტატებში.

ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით ფონური კვლევის შედეგად გამოვლენილი საკვანძო გარემოებაა, რომ საპროექტო ტერიტორია აღმოჩნდა მანგლისი-პამბაკი-სევანის გამაერთიანებელი ეკოლოგიური დერეფნის დაფარვის ქვეშ, რომლიც წარმოადგენს კავკასიის მასშტაბით არსებული ეკო-დერეფნების ქსელის ნაწილს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ალტერნატიული ვარიანტების შეფასების პროცესში მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ანალოგიური ტიპის ჰაბიტატების ტყის არსებობა.

მიგრაციის პროცესში შემზღუდველ ფაქტორს (სხვა ფაქტორებთან ერთად) წარმოადგენს N1 და N3 ალტერნატიული ტერიტორიების მიმდებარედ განთავსებული სს „RMG Copper“-ის და შპს „RMG Gold“-ის საწარმოო ტერიტორიები.

რაც შეეხება N4 ალტერნატიულ ვარიანტს, აღნიშნული ტერიტორია უარყოფილი იქნა, მათ შორის, უსაფრთხოებისა და გასაჩეხი ტყის ფართობის (≈ 150 ჰა) გათვალისწინებით. როგორც ზემოთ აღინიშნა N1, N2, N4 ალტერნატიული ტერიტორიები სრულად და N3 ალტერნატიული ტერიტორიის უმეტესი ნაწილი ხვდება ეკოლოგიური დერეფნის დაფარვის ქვეშ. აღნიშნულის მიუხედავად, როგორც გზმ-ს ანგარიშში იყო მითითებული საპროექტო კუდსაცავის

განთავსებისთვის შერჩეულ ტერიტორიაზე გვარცელებული ცხოველების და მცენარეების საკონსერვაციო სტატუსი არ აღძრავს IFC მოქმედების სტანდარტი 6 [IFC PS6]-ის ჰაბიტატის და ტერიტორიის კრიტიკულობის კრიტერიუმების რომელიმე რგოლს.

ალტერნატიული ტერიტორიებიდან საპროექტო კუდსაცავის განთავსებისთვის ტერიტორიის შერჩევა მოხდა ტერიტორიის ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების, ეკოლოგიური პირობების და დამბის შესაძლო გარღვევის შედეგების გათვალისწინებით. შეფასებაში ასევე გათვალისწინებულია კუდსაცავის მოცულობის დამბის შევსებისთვის საჭირო მოცულობასთან თანაფარდობა, რომელიც გამოიხატება ეფექტურობის კოეფიციენტით, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია კუდსაცავის დამბის განთავსებისთვის შესაფერისი რელიეფის განსაზღვრა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიამ საპროექტო კუდსაცავის მოსაწყობად შეარჩია მე-2 ალტერნატიული ვარიანტი. შერჩეული ვარიანტის უპირატესობებს წარმოდგენს ტერიტორიის ქვემოთ დასახლებული პუნქტების არ არსებობა, მაღალი ეფექტურობის კოეფიციენტი, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უპირატესობები, მათ შორის ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით და უსაფრთხოება.

7. გზშ-ს ანგარიშში აღნიშნულია, რომ ბიომრავალფეროვნების საველე კვლევა მოიცავდა 1 სეზონს (2021 წლის 3-14 ივლისი), რაც არ არის საკმარისი აღნიშნული პროექტით გამოწვეული შესაძლო ზემოქმედების შესაფასებლად. შესაბამისად, საჭიროა დამატებითი დეტალური საველე კვლევის ჩატარება (მათ შორის ზამთრის სეზონზე) და კვლევის შედეგების წარმოდგენა.

- 2022 წლის შემოდგომა-ზამთრის სეზონზე ჩატარებული დამატებითი დეტალური საველე კვლევის ანგარიში წარმოდგენილია დანართის სახით (იხ. დანართი 4. ფლორისტული და ფაუნისტური მრავალფეროვნების განმეორებითი კვლევა 2022 წლის შემოდგომა-ზამთრის სეზონი).

8. გზშ-ს ანგარიშში აღნიშნულია, რომ „მაღზე დაბალი თუმცა შესაძლო რისკს წარმოადგენს თევზების ანუ იქტიოფაუნისტური მრავალფეროვნების შემცირება მდ. მაშავერას აუზში, რაც შეიძლება გამოიწვიოს მასში მძიმე მეტალების შემცველი მარილების აკუმულაციის და კონცენტრაციის გაზრდით წყლის pH-ის ტუტეიანობისკენ გადახრამ, რაც გააუარესებს საბინადრო გარემოს ხარისხს ფაუნის აღნიშნული წარმომადგენლებისათვის, მათი საკვების - პლანქტონური და ბენტოსური უხერხემლო ცხოველების გაქრობის და წყლის ლოკალური დაბინძურების ხარჯზე“....

დოკუმენტში არ არის დაკონკრეტებული და დეტალურად განხილული აღნიშნული შესაძლო ზემოქმედების შემცირება-აღმოფხვრის ღონისძიებები, რაც საჭიროებს წარმოდგენას.

- როგორც გზშ-ს ანგარიშშია მითითებულია კუდსაცავის დამბიდან გამოსული (ზედმეტი) წყლების ჩაშვება მდ. მაშავერაში მოხდება მხოლოდ ქიმიური გამწმენდის გავლის შემდეგ.

შესაბამისად, გზშ-ს ანგარიშის თავში 14.6.3.2.2. გარემოს მძიმე მეტალებით დაბინძურების ზემოქმედება ფლორისტულ და ფაუნისტურ მრავალფეროვნებაზე (გვ. 728) აღწერილი შესაძლო რისკი მოსალოდნელია მხოლოდ საპროექტო მილსადენის, კუდსაცავის დამბის, საპროექტო გამწმენდი ნაგებობის ან/და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის

დაზიანებით გამოწვეული ავარიული სიტუაციების განვითარების პროცესში (რეზერვუარების, სადაწნეო მილსადენის სისტემების და ჰიდროტექნიკური ნაგებობების მთლიანობის და ჰერმეტიულობის დარღვევა და სხვ.).

შესაბამისად, აღწერილი ზემოქმედების შემარბილებელ ღონისძიებებზე განიხილება ინფრასტრუქტურული ობიექტების გამართული/შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა; ტექნიკურ მდგომარეობაზე მუდმივი დაკვირვება (მათ შორის: გამამდიდრებელი ფაბრიკიდან და სატუმბოს სადგურიდან წყალ ბრუნვის სისტემის და პულპის მაგისტრალის (საქაჩი ტუმბოების და მილების) ჰერმეტიულობის კონტროლი; კუდსაცავის მაგისტრალური მილსადენის დერეფნის პერიოდული შემოვლა და ჰერმეტიზაციის სისტემების კონტროლი; დამბის დრენირებული წყლების მართვის სისტემის გამართული ფუნქციონირებაზე დაკვირვება; და სხვ.), მონიტორინგის გეგმით გათვალისწინებული პერიოდულობით მდ. მაშავერას აუზში წყლის მონიტორინგის წარმოება (ჩამდინარე წყლების ლაბორატორიული კვლევა და ვიზუალური მონიტორინგი (გავრცელების მიმართულება, სხვადასხვა კერების გამოვლინება, შეფერილობა და ა.შ). და წელიწადში ერთხელ მდ. მაშავერას იქტოფაუნის კვლევის განხორციელება.

9. საპროექტო კუდსაცავის დამბის და მილსადენის განთავსების ტერიტორიების ჰიდროლოგიური შეფასების ანგარიშში (ტომი I თავი 12.10.1.) აღნიშნულ ნაწილში R-რეგიონალური პარამეტრი აღებულია 1,35-ის ტოლი, მაგრამ პარამეტრი R - აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში მიღებულია 1,15-ის ტოლად. შესაბამისად აღნიშნული საკითხი დასაზუსტებელია, ასევე დაზუსტებას საჭიროებს ხევის მაქსიმალური ხარჯის მნიშვნელობები.

- გზშ-ს ანგარიშში თავი 12.10.1. ხევის მაქსიმალური ხარჯი (გვ. 426) დაშვებულია ტექნიკური ხასიათის შეცდომა და ნაცვლად მითითებული R-რეგიონალური პარამეტრი 1,35-ის ტოლი, მითითებული უნდა იყოს - R _ რეგიონალური პარამეტრია და მისი მნიშვნელობა აღნიშნული ხევისათვის უდრის 1.15-ს.

როგორც გზშ-ს ანგარიშის აღნიშნულ თავშია მითითებული ხევის მაქსიმალური ხარჯის განსაზღვრისთვის გამოყენებული ფორმულისათვის საჭირო პარამეტრები, შერჩეული წყალშემკრები აუზისათვის გამოითვალა გეოინფორმაციული სისტემის (Geographic Information System) დახმარებით.

გარდა ამისა ანგარიშებში გათვალისწინებულია კლიმატის ცვლილების სცენარი და პროტოკოლი, რომლის მიხედვითაც ტემპერატურის ყოველი გრადუსით მომატება იწვევს მაქსიმალური ხარჯის 7-8% ზრდას. საკვლევი ტერიტორიის შემთხვევაში მსოფლიო ბანკის მიერ მომზადებული სცენარების მიხედვით 2059 წლამდე, ნავარაუდევია ტემპერატურის მაქსიმუმ 3.4 გრადუს ცელსიუსით მომატება (საშუალო გრძელვადიანი ზრდა განსაზღვრულია 1.8 გრადუს ცელსიუსით). აქედან გამომდინარე და SSP2-4.5 სცენარის შესაბამისად, ანგარიშის შედეგად მიღებული მაქსიმალური ხარჯის რაოდენობები დამატებით გაზრდილია 24%-ით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, გზშ-ს ანგარიშის აღნიშნულ პარაგრაფში მოყვანილი ხევის მაქსიმალური ხარჯის მნიშვნელობები (გზშ-ს ანგარიში თავი 12.10.1. ხევის მაქსიმალური ხარჯი, ცხრილი 12.11.1. მიღებული შედეგები საპროექტო კვეთისათვის (გვ. 427) არ საჭიროებს დამატებით დაზუსტებას ან/და ცვლილებას.

10. წარმოდგენილი მერქნული რესურსის წინასწარი აღრიცხვის მასალები არ შეესაბამება „ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/შეცვლის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 6 ოქტომბრის N 496 დადგენილების მოთხოვნებს. კერძოდ, მერქნული რესურსის წინასწარი აღრიცხვა განხორციელებულია არა საკადასტრო აზომვით ნახაზზე მითითებული ფართობისთვის, არამედ საკადასტრო აზომვითი ნახაზების გაერთიანებული ჯგუფებისთვის, სადაც ასევე ფიქსირდება სხვაობა ფართობებს შორის. კერძოდ, 26 ერთეული საკადასტრო აზომვითი ნახაზის ჯამური ფართობია - 854232 კვ.მ., ხოლო, ასევე წარმოდგენილი 14 ერთეული აზრისზე მითითებული მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობია - 854749 კვ.მ. გარდა ამისა, მერქნული რესურსის წინასწარი აღრიცხვის უწყისებში ღეროს სრული მოცულობის ნაცვლად, ასახულია ღეროს ლიკვიდური მერქნის მოცულობა.

ამასთან, შერჩეული ტერიტორიისთვის ტყის სტატუსის შეწყვეტამდე გაუქმებული უნდა იქნეს სს „RMG Copper“-ზე განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლება.

- მერქნული რესურსის წინასწარი აღრიცხვის განახლებული მასალები წარმოდგენილია დანართის სახით (იხ. დანართი 5. აღრიცხვის მასალები).

ამასთან, ტერიტორიისთვის ტყის სტატუსის შეწყვეტამდე სს „RMG Copper“-ზე განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების გაუქმებასთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ იმ შემთხვევაში თუ გაცემული იქნება სს „RMG Copper“-ის დაგეგმილ საქმიანობაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, სს „RMG Copper“ გამოთქვამს თანხმობას, გაუქმდეს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 03/08/2022 N 1660 ბრძანება ტერიტორიისთვის ტყის სტატუსის შეწყვეტამდე. სს „RMG Copper“ დამატებით მიმართავს განცხადებით სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს / გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების გაუქმებასთან დაკავშირებით ტყის სტატუსის შეწყვეტამდე, ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში.

11. გზშ-ის ანგარიშში მითითებულია, რომ „სამშენებლო ბაზის ელექტროენერგიით მომარაგება გათვალისწინებულია შპს „RMG Gold“-ის არსებული ელექტროქსელიდან. მიზანშეწონილია დროებითი ელექტრომომარაგების რეზერვირება განხორციელდეს შესაბამისი სიმძლავრის სარეზერვო დიზელ-გენერატორით.“

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს სამშენებლო ბაზის ელექტრომომარაგების შესახებ დეტალური ინფორმაცია (ელექტროგადამცემი ხაზის პარამეტრები, ადგილმდებარეობა, გარემოს კომპონენტებზე ზემოქმედება და სხვა.).

გარდა ამისა, ეგბ-ს დერეფანი ასახული უნდა იქნეს სქემატურ ნახაზზე და ship ფაილებში.

რაც შეეხება სარეზერვო დიზელ-გენერატორის გამოყენებას, სამშენებლო ბაზის გენ-გეგმაზე სხვა ობიექტებთან ერთად ასახული უნდა იქნეს დიზელ-გენერატორის განთავსების ადგილი.


▪ 11.1. სამშენებლო ბაზა

მშენებლობის მოცულობიდან გამომდინარე განსაზღვრულია დამბის სამშენებლო მოედნის მიმდებარედ, აღნიშნული კოორდინატის არეალში ($X=448778.46$; $Y= 4582409.92$) მოეწყოს დროებითი სამშენებლო ბაზა. სამშენებლო ბაზაზე განთავსდება:

- ინერტული მასალების დროებითი საწყობი 6000 მ³ მოცულობის მასალის (ქვა-ღორღი, ძირითადად დაციტები და ადგილზე ამოღებული ქანი) განთავსებისთვის;
- თიხის დროებითი საწყობი 8000 მ³ მოცულობის თიხის განთავსებისათვის;
- სხვადასხვა სამშენებლო მასალების დროებითი საწყობი (მეტალი, ხის მასალა, აგრეგატები და დანადგარები);
- მიწების დროებითი საწყობი;
- საველე საოფისე კონტეინერი, ბიო ტუალეტები ამოსაწმენდი სეპტიკური ავზით;
- ნარჩენების დროებითი განთავსების უბანი, სადაც განთავსდება შესაბამისი ნარჩენების კონტეინერები (მცირე მოცულობის არასახიფათო მუნიციპალური და ინერტული ნარჩენების დროებით განთავსებისათვის სანამ მოხდება შესაბამის ნარჩენების კონტრაქტორზე გადაცემა);
- საწყობი (სადაც განთავსდება სამუშაო ხელსაწყოები და სხვა ინვენტარი);
- ა/მანქანების პარკინგი;
- მეორე, უფრო მცირე ზომის საწყობი პარკინგით განთავსდება ბაზიდან მოშორებით, უბანზე შემოსასვლელ გზასთან;

ქვემოთ ნახაზზე 11.1. მოცემულია სამშენებლო ბაზის გენგეგმა, ხოლო ნახაზზე 11.2. სამშენებლო ბაზის განთავსების სიტუაციური გეგმა ელექტროგადამცემი ხაზის დატანით.

ნახაზი 11.1. სამშენებლო ბაზის გენგეგმა



11.2. სამშენებლო ბაზის ელექტრომომარაგება

მშენებლობის ელექტროენერგიით მომარაგება გათვალისწინებულია შპს RMG Gold-ის არსებული ელექტროქსელიდან. ამისათვის შპს RMG Gold-ის კუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზიდან მოხდება 10 კვ სიმძლავრის ≈ 2300 მ სიგრძის ეგხ-ს მოწყობა საპროექტო ტერიტორიამდე (იხ. ნახაზი 11.2.).

მისი საშუალებით მოხდება როგორც დამწნევი სადგურისა და დამბის ინფრასტრუქტურის, ასევე სამშენებლო ბაზის ელექტრომომარაგებაც. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული ელექტროგადამცემი ხაზის სიმძლავრე არ აღემატება 10 კვ-ს და მისი მოწყობა არ ითვალისწინებს დამატებით სანებართვო პროცედურებს, მშენებლობა განხორციელდება ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებით.

მიუხედავად ამისა, მიზანშეწონილია დროებითი ელექტრომომარაგების რეზერვირება განხორციელდეს შესაბამისი სიმძლავრის სარეზერვო დიზელ-გენერატორით.

დაგეგმილი სარეზერვო დიზელ გენერატორი იქნება მობილური ტიპის, რომელიც აღჭურვილი იქნება მეორადი დაღვრის საწინააღმდეგო სიტემით, რაც გამოირიცხავს ნიადაგის დაბინძურებას დიზელით შევსების, ან ავარიის შემთხვევაში. იგი სავარაუდოდ განთავსებული იქნება ძირითადი პარკინგის ტერიტორიაზე, ზედაპირული წყლის ობიექტიდან შესაბამის მანძილზე, თუმცა სამუშაოების მიმდინარეობისას მისი ლოკაცია შესაძლებელია შეიცვალოს სამშენებლო ბაზის ტერიტორიის ფარგლებში.

10 კვ ეგხ-ს გაყვანისათვის გამოყენებული იქნება იზოლირებული გამტარი სადენი და გათვალისწინებულია მარტივი ტიპის რკინა-ბეტონის ბოძების მონტაჟი.

ბოძების მონტაჟი არ ითვალისწინებს მასშტაბურ სამშენებლო სამუშაოების ჩატარებას და სამშენებლო დერეფნის მოწყობას. ბოძების განთავსების ადგილზე განხორციელდება 20-30 სმ დიამეტრზე წერტილოვანი დაბურღვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ეგხ-ს ბოძების მონტაჟისას არ მოხდება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედება, ამასთან საპროექტო ხაზის მარშუტი ძირითადად გადის ანთროპოგენული ზემოქმედების მქონე ტერიტორიებს (საავტომობილო გზის კიდეებში, სამთო-მოპოვებით ტერიტორიაზე), ასევე არ ექცევა ხშირი ხე-ტყით დაფარულ არეალში და ლოკალურად განხორციელდება ერთეული ხე-მცენარეების მოჭრა, შესაბამისი ტყით სარგებლობის უფლების მქონე ტერიტორიაზე.

ნახაზი 11.2. სამშენებლო ბაზის განთავსების სიტუაციური გეგმა



12. გზშ-ის ანგარიშშის დანართში „10. ინფორმაცია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2022 წლის 04 აპრილის N 15 სკოპინგის დასკვნაში წარმოდგენილი მოსაზრებების და შენიშვნების შეფასების შესახებ“ წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით, მითითებული უნდა იყოს კონკრეტული გვერდები და ქვეთავები, სადაც წარმოდგენილია შესაბამისი ინფორმაცია. მაგ.: 4.3. საკითხთან (მცენარეთა დაცული სახეობების გარემოდან ამოღების შესახებ ინფორმაცია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად) დაკავშირებით, ცხრილში მითითებულია, რომ ინფორმაცია ასახულია 12.12. თავში, თუმცა აღნიშნული თავი მოიცავს რამდენიმე ქვეთავს, ჯამურად 48 გვერდს, ამასთან ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით მითითებული ქვეთავი, არ შეესაბამება მოთხოვნილ ინფორმაციას, რაც საჭიროებს კორექტირებას.

- განახლებული ინფორმაცია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2022 წლის 04 აპრილის N 15 სკოპინგის დასკვნაში წარმოდგენილი მოსაზრებების და შენიშვნების შეფასების შესახებ ინფორმაცია კონკრეტული გვერდების და ქვეთავების მითითებით წარმოდგენილია დანართის სახით (იხილეთ დანართი 6. ინფორმაცია სკოპინგის დასკვნაში წარმოდგენილი მოსაზრებების და შენიშვნების შეფასების შესახებ).

ამასთან, სკოპინგის დასკვნის პირველი სამი პირობა ეხება ზოგადად „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებულ ინფორმაციასა და დოკუმენტებს. შესაბამისად, მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოდგენილია მთლიანად გზშ-ს ანგარიშში და კონკრეტული გვერდების და პარაგრაფების მითითება გულისხმობს შენიშვნის საპასუხოდ გზშ-ს ანგარიშის სარჩევის შინაარსის გადმოტანას. გამომდინარე იქედან რომ, სკოპინგის დასკვნის დანარჩენი პირობები კონკრეტულ საკითხებს ეხება, მოცემულია კონკრეტული გვერდები და ქვეთავები.

13. როგორც გზშ-ის ანგარიშიდან ირკვევა გამამდიდრებელ ფაბრიკაში მადნების გადამამუშავება მოხდება საწარმოში მოქმედი ტექნოლოგიური ციკლის შესაბამისად და გადამამუშავების ტექნოლოგიის (ფლოტაცია) შეუცვლელად, ხოლო ტექნიკური ცვლილებები (ფაბრიკის გადაიარაღება/მოდერნიზაცია) იძლევა საწარმოს წლიური წარმადობის ზრდის საშუალებას. წარმოდგენილი იყოს დაზუსტებული და დეტალური ინფორმაცია არსებული გამამდიდრებელი ფაბრიკის ტექნიკურ ცვლილებებთან და შესაბამისად წარმადობის გაზრდასთან დაკავშირებით და მოსალოდნელი ზემოქმედება (მათ შორის მადნების ტრანსპორტირების საკითხები) და ამასთან, მკაფიოდ დასაბუთდეს გამამდიდრებელი ფაბრიკის წარმადობის გაზრდის აუცილებლობა.

- როგორც მოგეხსენებათ, საწარმოში მიმდინარე ტექნიკური ცვლილებები (ფაბრიკის გადაიარაღება/მოდერნიზაცია) დეტალურად არის აღწერილი სს „RMG Copper“-ის 2018 წლის გზშ-ს ანგარიშში (ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთის ტერიტორიაზე სს „RMG Copper“-ის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების შეცვლის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში) და სს „RMG Copper“-ის 2019 წლის სკრინინგის ანგარიშში (ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთის ტერიტორიაზე სს „RMG Copper“-ის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (ტექნიკური გადაიარაღება) სკრინინგის ანგარიში), რომელთა საფუძველზე გაიცა მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება

(გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 08 ივლისის N2-626 ბრძანება) და სს "RMG Copper"-ის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (ტექნიკური გადაიარაღება) სკრინინგის გადაწყვეტილება (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 13 ნოემბრის N2-1094 ბრძანება).

მიმდინარე „ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთის ტერიტორიაზე სს „RMG Copper“-ის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების შეცვლის (ახალი კუდსაცავისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობა და საწარმოს წარმადობის გაზრდა) პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში“, ტექნოლოგიური და ტექნიკური პირობების შეუცვლელად, აერთიანებს ზემოთაღნიშნულ დოკუმენტებში წარმოდგენილ დეტალურ ინფორმაციას მადნის გამამდიდრებელი საწარმოს ტექნიკურ გადაიარაღებასა და ტექნოლოგიურ ცვლილებებზე. შესაბამისად, კიდევ ერთხელ ხაზგასმით ავლენიანავთ, რომ ძირითადი ტექნიკური და ტექნოლოგიური თვალსაზრისით ცვლილებები საწარმოში არ იგეგმება. თუმცა აღსანიშნავია, რომ ტექნიკური გადაიარაღების შემდეგ საწარმოს იმ პერიოდშიც გააჩნდა წარმადობის გაზრდის პოტენციალი.

როგორც მიმდინარე გზშ-ს დოკუმენტში აღვნიშნეთ, გამომდინარე იქიდან, რომ ყველა გადაწყვეტილება (როგორც გარემოსდაცვითი და აგრეთვე სკრინინგის გადაწყვეტილებები) გაცემულია სს „RMG Copper“-ზე და ისინი ტექნიკურად და ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულია, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული წინამდებარე გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშში ასახული იქნეს ზემოთჩამოთვლილი საკმიაზომებიც, რაზეც ერთის მხრივ, შესაძლებელი იქნება ერთიანი, ახალი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება, ხოლო მეორეს მხრივ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მოხდება ძველი გადაწყვეტილებების გაუქმება (როგორც გარემოსდაცვითი და აგრეთვე სკრინინგის გადაწყვეტილებების).

აქედან გამომდინარე, მიმდინარე გზშ-ს დოკუმენტში გაცხადებული გამამდიდრებელი ფაბრიკის წარმადობის გაზრდის აუცილებლობა, გამოწვეული იქნა არა იმიტომ, რომ საწარმოს წარმადობამ მოგვცა ამის საშუალება, არამედ ამასთან ერთად კომპანიას გაუჩნდა დამატებითი რესურსი, გზშ-ს დოკუმენტში აღწერილი სხვადასხვა საბადოებზე დამტკიცებული მადნის მარაგები და მათი ტექნოლოგიური გადამუშავების/გამამდიდრების შესაძლებლობა.

რაც შეეხება მადნის ტრანსპორტირების საკითხებს, გზშ-ს დოკუმენტში დეტალურადაა აღწერილი თითოეული საბადოდან (მადნეულის, საყდრისის, ბექთაქარის და ბნელიხევის საბადოებიდან) მადნის ტრანსპორტირების საკითხები/დეტალები და მადნის ტრანსპორტირების გრაფიკების საშუალებით.

მუშევანი-2-ის საბადოდან მოპოვებული მადნის ტრანსპორტირება, რომლის ნაწილის გადამუშავება ასევე დაგეგმილია სს „RMG Copper“-ის მადნის გამამდიდრებელ საწარმოში, დეტალურადაა განხილული მუშევანი-2 საბადოს დამუშავების გზშ-ს დოკუმენტში, რომლის საფუძველზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 01 ნოემბრის N430/ს ბრძანება).

აღსანიშნავია, რომ მუშევანი-2-ის საბადოდან მოპოვებული მადნის ტრანსპორტირება განხილულია სს „RMG Copper“-ის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების შეცვლის (ახალი კუდსაცავისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის

მოწყობა და საწარმოს წარმადობის გაზრდა) გზმ-ს თავში 14.14. კუმულაციური ზემოქმედება; ქვეთავი 14.14.4. სატრანსპორტო ნაკადების ზრდა; გვ. 801-813.

14. გზმ-ს ანგარიშში მოცემულია პირველი 3 წლის განმავლობაში წარმოქმნილი კუდების განთავსებისთვის, კუდსაცავის დამბის მაქსიმალური ნიშნული (844 მ). წარმოდგენილი უნდა იყოს კუდსაცავის ექსპლუატაციის მაქსიმალური ვადისა და საპროექტო დამბის განვითარება/ამაღლების შესაძლებლობის შესახებ ინფორმაცია.

- სს „RMG Copper“ - ის საპროექტო კუდსაცავის პიონერული დამბის მაქსიმალური ნიშნული ამ ეტაპზე 844 მ-ით განისაზღვრება, რაც წლიური მაქსიმალური წარმადობის მიღწევის შემთხვევაში, საკმარისია წარმოების პირველი 3 წლის განმავლობაში წარმოქმნილი კუდების განთავსებისთვის. თუმცა, საპროექტო კუდსაცავის პიონერული დამბის ექსპლუატაციის ვადა შესაძლებელია გაიზარდოს იმ შემთხვევაში თუ წლიურად გადამუშავებული მადანის მოცულობა ნაკლებია წლიური მაქსიმალური წარმადობით გათვალისწინებულ მოცულობაზე. შესაბამისად, სამთამადნო საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, იმის და მიხედვით თუ რა რაოდენობის კუდების განთავსება იქნება შესაძლებელი ყოველწლიურად პიონერული დამბის ექსპლუატაციის ვადა შეიძლება შეიცვალოს (გაიზარდოს).

სამთო დარგში არსებული საერთაშორისო გამოცდილებისა და პრაქტიკის შესაბამისად ახალი კუდსაცავის ტერიტორია ისე არის შერჩეული, რომ საპროექტო ტერიტორიის რელიეფი იძლევა დამბის ამაღლების საშუალებას. ისეთი ტერიტორიის შერჩევა, რომელზეც კუდსაცავის დამბას ამაღლებისთვის საჭირო პოტენციალი გააჩნია მნიშვნელოვანია გარემოსდაცვითი თვალსაზრისითაც, რათა მოკლევადიანი პროექტებით (მცირე, მაგრამ რამდენიმე ტერიტორიის ათვისებით) არ მოხდეს გარემოზე ზემოქმედების წყაროების რაოდენობის ზრდა. კანადურ კომპანიასთან ერთად ბოლო 3-4 წლის განმავლობაში ჩატარებული კვლევებით დადასტურებულ იქნა, რომ კუდსაცავის მშენებლობისათვის საპროექტო ტერიტორიას გააჩნია მისი გრძელვადიანი გამოყენების შესაძლებლობა. მართალია, სს „RMG Copper“ - ის მიერ ახალი კუდსაცავით სარგებლობა შეზღუდულია კომპანიაზე გაცემული წიაღისეულის რაოდენობის უფლების მოქმედების ვადით, თუმცა ახალი კუდსაცავი სს „RMG Copper“-ზე გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედის ვადის გასვლის შემდეგაც შეიძლება გამოყენებული იყოს რეგიონში სამთამადნო საქმიანობის უზრუნველყოფისათვის, ნებისმიერი სუბიექტის მიერ, ვისაც ექნება შესაბამისი წიაღისეულის რაოდენობის უფლება.

საპროექტო ტერიტორიის მახასიათებლების გათვალისწინებით პიონერული დამბის ამაღლების შემთხვევაში შესაძლებელია კუდსაცავის მდგრადი და უსაფრთხო ექსპლუატაცია ხანგრძლივადიან პერსპექტივაში. როგორც გზმ-ს ანგარიშში არის მითითებული კუდსაცავის დამბის ამაღლება შესაძლებელია და ლოკაციების ალტერნატივების სიღრმისეული და კომპლექსური შესწავლის ერთ-ერთი კრიტერიუმში სწორედ დამბის სამომავლო განვითარების პოტენციალი იყო. ამ ეტაპზე კომპანიას არ აქვს დამბის სრული პროექტი და შეუძლებელია ზუსტი საბოლოო, მაქსიმალური ნიშნულის განსაზღვრა. პიონერული დამბის ამაღლების შემთხვევაში, ექსპლუატაციის სავარაუდო მაქსიმალური ვადა რელიეფის და წარმოების დღევანდელი მასშტაბების გათვალისწინებით შეიძლება იყოს 30-35 წელი. თუმცა როგორც კუდსაცავის ექსპლუატაციის მაქსიმალური ვადის, აგრეთვე, საპროექტო დამბის

განვითარება/ამაღლების შესახებ დეტალური ინფორმაციის წარდგენა დღესდღეობით შეუძლებელია ვინაიდან, როგორც ექსპლუატაციის ვადა ასევე კუდსაცავის დამბის ნიშნული და საბოლოო არეალის განსაზღვრა დამოკიდებულია ისეთ გარემოებებზე, როგორიცაა:

- სხვადასხვა საბადოებზე მადნის შემცველობა და მისი თვისობრივი პარამეტრები-საბადოებზე მადნები და მათი შემცველობები იცვლება/ზუსტდება თითოეულ საბადოებზე სასარგებლო წიაღისეულის მარაგების შესწავლის შემდეგ, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს, მოპოვებისა და ცალკეულ შემთხვევებში გადამუშავების ხანგრძლივობაზე, აგრეთვე გადამუშავების შედეგად წარმოქმნილის ნარჩენების (კუდების) თვისობრივ პარამეტრებზე;
- სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ოდენობები/მოცულობები - დამბის ამაღლების დრო და მასშტაბი დამოკიდებულია სხვადასხვა საბადოებზე არსებული და დამტკიცებული სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ამოწურვასა და მარაგების ზრდაზე. ამ ეტაპზე დამტკიცებული მარაგების გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი კუდების განთავსებისათვის საკმარისია სს „RMG Copper“- ის მოქმედი კუდსაცავის შესაბამისი საფეხური და საპროექტო კუდსაცავის პიონერული დამბა, ხოლო მარაგების ზრდის შემთხვევაში გაზრდილი ოდენობის შესაბამისად საჭირო იქნება კუდსაცავის დამბის განვითარება. ამ ეტაპზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სამუშაოების პარალელურად ინტენსიურად მიმდინარეობს სხვადასხვა საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის შესწავლის სამუშაოები, რომლის შედეგებიც ეტაპობრივად იქნება ცნობილი;
- წლიური წარმადობა, რომელიც დამოკიდებულია სამთო გეგმების შესრულებაზე;
- ყოველწლიურად განსათავსებელი კუდების რაოდენობა;
- გადამუშავების ტექნოლოგიაში ცვლილებები - ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად, მადნის შემდგენლობის ცვლასთან ერთად საჭირო ხდება არსებული ტექნოლოგიის ცვლილება ან ექსპლუატაციაში გაშვების შემდგომ ტექნოლოგიური სქემის გაუმჯობესება და მასში აუცილებელი ცვლილებების შეტანა;
- ეკონომიკური გარემოებები - სასარგებლო წიაღისეულის (ამ შემთხვევაში ფერადი, იშვიათი და კეთილშობილი ლითონების) საბაზრო ფასი და ეკონომიკურ გარემოებები გავლენას ახდენს კუდსაცავის ექსპლუატაციის ვადაზე;
- დამბის ამაღლებისათვის საჭირო ნედლეულის (საშენი მასალების) ხელმისაწვდომობა და ა.შ.;

შესაბამისად, დამბის ამაღლების საჭიროების შემთხვევაში სს „RMG Copper“ კომპანია Hatch - ის საშუალებით მოამზადებს დეტალურ საინჟინრო პროექტს და საქართველოს კანონის „გარემოდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად საქმიანობის დაგეგმვის შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე წარადგენს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრულ დოკუმენტს სააგენტოში. ამასთან, დამბის ამაღლების შემთხვევაში სს „RMG Copper“- ის მიერ შეფასდება გარემოზე კუმულაციური ზემოქმედება, როგორც საპროექტო კუდსაცავის, ასევე დაგეგმილი საქმიანობის (მომავალში დაგეგმილი) არეალის გათვალისწინებით და მხოლოდ საქართველოს კანონის „გარემოდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი პროცედურების გავლის შემდგომ და უზრუნველყოფს დამბის განვითარებას.

15. გზშ-ის ანგარიშზე თანდართულ ზღვრულ დოკუმენტში (დანართი 3) ჩაშვების წერტილი N3-ში და N5-ში ჩამდინარე წყლების მაქსიმალური ხარჯის მოცემული მაჩვენებლები საჭიროებს დაზუსტებას.

- შენიშვნის შესაბამისად განახლებული ზღვრულ დოკუმენტი წარმოდგენილია დანართის სახით (იხ. დანართი 7. ზღვრულ ანგარიში).

16. ზღვრულ დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი მიმღები წყლის ობიექტში არსებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ფონური კონცენტრაციების ლაბორატორიული კვლევის შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტაცია შეწონილი ნაწილაკებითვის.

- შენიშვნის შესაბამისად განახლებული ზღვრულ დოკუმენტი წარმოდგენილია დანართის სახით (იხ. დანართი 7. ზღვრულ ანგარიში).

17. გზშ-ის ანგარიშის ტექსტური ნაწილი შეიცავს სხვადასხვა ხარვეზებს, მაგ: დაწნევა და არა დაპრესვა, კონუსის ჯდომა და არა კონუსის ჩაჯდომა, სურინჯი და არა სურიკი, მაჩვენებელი pH 4 არის მჟავა და არა ტუტე არასწორია ვულკანოგენურ-დანალექი სისქე - უნდა იყოს: ვულკანოგენურ-დანალექი წყება; არასწორია „ზედა ცარცურლი ვულკანოგენური ჩანალუნი“ ალბათ იგულისხმება - დეპრესია. ასევე, ის ვერ იქნება შევსებული უფრო ძველი იურული და ქვედა ცარცის წარმონაქმნებით (გვ. 45); არასწორია „გლინოზემი“, უნდა იყოს თიხამიწა ან ალუმინის ოქსიდი (გვ.48); არასწორია „კალიუმ-შპატიზაცია“, უნდა იყოს - კალიშპატიზაცია (გვ.49), და სხვა.

ასევე, გაუგებარია ფრაზა: „...Niton-ის mining-ფილტრის მუშაობის რეჟიმს.“ (გვ.49).

ამასთან 12.15.5. ქვეთავში - „მრეწველობის განვითარება“, მოცემული საკითხები (გვ.542-543) ბუნდოვანია მრეწველობის განვითარების პერსპექტივასთან მიმართებით.

ზემოაღნიშნული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას.

- აღნიშნულ შენიშვნებთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ წარმოდგენილი ხარვეზები გათვალისწინებული იქნება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშების და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციების წარმოდგენის დროს.

ამასთან, ქვემოთ მოცემულია გზშ-ს ანგარიშის ქვეთავებში 4.1.4.1. ბნელიხევის მადნების დახასიათება (გვ. 49) და 12.15.5. მრეწველობის განვითარება გვ. 542-543 მოცემული ტექსტების დამატებითი/განმარტებითი ინფორმაცია.

17.1. ბნელიხევის მადნების დახასიათება (გზშ-ს ქვეთავი 4.1.4.1. ბნელიხევის მადნების დახასიათება გვ. 49)

- Niton ანალიზატორით რენტგენო-ფლუორესცენციური მეთოდით (RXF), Mining-რეჟიმის შესაბამისი 4 ფილტრით კერძულ სინჯებში განისაზღვრება ქიმიური ელემენტების შემცველობები.

17.2. მრეწველობის განვითარება (გზმ-ს ქვეთავი 12.15.5. გვ. 542-543)

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მიერ 2017-2018 წლებში შემუშავებული იქნა „ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა 2019-2020 წლებისთვის (ინტერნეტის რესურსი <https://bestpractice.nala.ge/projects/2>), რომლის თანახმად ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტებად სამი მიმართულება დაისახა:

1. აგროწარმოების განვითარების ხელშეწყობა და ადგილობრივი პროდუქტების პოპულარიზაცია;
2. მუნიციპალიტეტისთვის მიმზიდველი საინვესტიციო და ტურისტული იმიჯი შექმნა; 3. დამწყები მცირე და საშუალო ბიზნეს საქმიანობის ხელშეწყობა“ (გვ. 31).

„ზემოაღნიშნული მუნიციპალიტეტის წამყვანი ეკონომიკური დარგი წლიური ბრუნვისა და მოგების მიხედვით არის სამთო წარმოება, რომელიც ბუნებრივი მინერალური ნედლეულის მოპოვება-გადამუშავებას ეწევა. მათ შორის ყველაზე მსხვილია 2 - სს „RMG Copper“ და შპს „RMG Gold“, რომელთა ყოველწლიური გადასახადები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 68% შეადგენს.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში არსებული ბუნებრივი ნედლეულის საბადოები; განვითარებული ინფრასტრუქტურა და კვალიფიციური მუშახელის არსებობა სამთო-მოპოვებითი მრეწველობის განვითარების საწინდარია. აქ გვხვდება ოქრო-სპილენძ-კოლჩედანური, ოქრო-პოლიმეტალური და ვერცხლის შემცველი და ბარიტ-პოლიმეტალური მადნების საბადოები, რომელთა დამიების გეოლოგიური სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს უკანასკნელ ათწლეულში. აღმოჩენილია ახალი საბადოები, მიმდინარე ... წარსულში დამიებული საბადოების მარაგების გადამოწმება.

უკანასკნელ წლებში გაიხსნა ბერთაკარის ოქრო-პოლიმეტალური მადნების საბადო, რომელიც ნედლეულს გადასამუშავებლად აწვდის მადნეულის გამამდიდრებელ ფაბრიკას - დაგეგმილია ახალი ფაბრიკის აშენება ამ მადნებისათვის. ასათვისებლადაა მომზადებული ბნელი-ხევისა და მუშევანის საბადოები.

გარდა ზემოხსენებულისა ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოიპოვება და გადამუშავდება კირქვა, მოსაპირკეთებელი ქვები (ბაზალტი, ტუფი), ინერტული შემავსებელი ბეტონისათვის, მინერალური წყალი და ა.შ.

მუნიციპალიტეტის მონაცემებით ზემოხსენებული ორი მსხვილი საწარმოს გარდა, აქ მუშაობს თორმეტი საშუალო სამძლავრისა და 500-ზე მეტი წვრილი საწარმო, თუმცა ადამიანთა დასაქმების თვალსაზრისით წამყვან დარგად სოფლის მეურნეობა რჩება.

18. წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია კუდსაცავის ტერიტორიის ფარგლებში გამაღწევაზე ჩატარებული კვლევის მონაცემების შესახებ.

2020 წლის ზაფხულის განმავლობაში, ახალი კუდსაცავის განთავსების ტერიტორიაზე, განხორციელდა გეოტექნიკური შესწავლის პროგრამა. სამუშაოები შეასრულა შპს გეოინჟინირინგმა სს RMG Copper-ის გეოტექნიკური სამსახურის დაკვეთით და ზედამხედველობით. საველე გეოტექნიკური კვლევის ფარგლებში გაბურღული იქნა 17 ჭაბურღილი, რომლის მიზანიც იყო ტერიტორიის ამგები გრუნტის და კლდოვანი ქანების მასივის ხარისხის შესწავლა.

თუმცა, გარდა გეოტექნიკური პარამეტრების განსაზღვრისა, მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ კუდსაცავის სამშენებლოდ შერჩეული ტერიტორია ნამდვილად სტერილურია კეთილშობილი და ფერადი მეტალების შემცველობის თვალსაზრისით, რისთვისაც, ბურღვის პროცესში შერჩეული იქნა 4 ერთეული ჭაბურღილი (BH20-02; BH20-04; BH20-09 და BH20-20). ჭაბურღილები შეირჩა იმგვარად, რომ მათგან მიღებული ინფორმაცია დამახასიათებელი ყოფილიყო მთლიანი უბნისათვის.

შემდეგ მოხდა ამ ჭაბურღილების კერნის გარკვეული ინტერვალების დასინჯვა და ქიმიური ანალიზების ჩატარება შემდეგ ელემენტებზე: Au, Ag, Cu, Pb, Zn (იხ. ქვემოთ ჭაბურღილის სვეტები).

როგორც მიღებული ანალიზების შედეგებმა გვიჩვენა, აღნიშნული უბანი ნამდვილად წარმოადგენს უმადნოს, ასევე ადრე ჩატარებულ ზედაპირულ სამუშაოებში არ არის დაფიქსირებული მადნიანობის არავითარი ნიშანი. ამ ფაქტებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტერიტორია მადნისაგან სტერილურია და მასზე სამშენებლო სამუშაოების წარმართვა მიზანშეწონილია.

ჭაბურღილი BH-20-02

##	ნიმუშის №№	დასინჯვის ინტერვალი (მ)			Au	Ag	Cu	Pb	Zn
		დან	მდე	სიგრძე					
1	BH-20-02-001	0.00	1.00	1.00					
2	BH-20-02-002	1.00	2.00	1.00					
3	BH-20-02-003	2.00	3.00	1.00					
4	BH-20-02-004	3.00	4.00	1.00	0.02	<1	0.01	0.01	0.01
5	BH-20-02-005	4.00	5.50	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
6	BH-20-02-006	5.50	7.00	1.50	0.03	<1	0.01	0.01	0.01
7	BH-20-02-007	7.00	8.50	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
8	BH-20-02-008	8.50	10.00	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
9	BH-20-02-009	10.00	11.50	1.50	0.02	<1	0.01	0.01	0.01
10	BH-20-02-010	11.50	13.00	1.50	0.02	<1	0.01	0.01	0.01
11	BH-20-02-011	13.00	14.50	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
12	BH-20-02-012	14.50	16.00	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
13	BH-20-02-013	16.00	17.50	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
14	BH-20-02-014	17.50	19.00	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
15	BH-20-02-015	19.00	20.50	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
16	BH-20-02-016	20.50	22.00	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
17	BH-20-02-017	22.00	23.50	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
18	BH-20-02-018	23.50	24.50	1.00	0.01	<1	0.01	0.01	0.01
19	BH-20-02-019			0.00	0.01	<1	0.01	0.01	0.01
20	BH-20-02-020			0.00	0.03	<1	0.01	0.01	0.01
21	BH-20-02-021	24.50	26.00	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
22	BH-20-02-022	26.00	27.50	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
23	BH-20-02-023	27.50	29.00	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
24	BH-20-02-024	29.00	30.50	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01

25	BH-20-02-025	30.50	32.00	1.50	0.05	<1	0.01	0.01	0.01
26	BH-20-02-026	32.00	33.50	1.50	0.06	<1	0.01	0.01	0.01
27	BH-20-02-027	33.50	35.00	1.50	0.04	<1	0.01	0.01	0.01
28	BH-20-02-028	35.00	36.50	1.50	0.04	<1	0.01	0.01	0.01
29	BH-20-02-029	36.50	38.00	1.50	0.04	<1	0.01	0.01	0.01
30	BH-20-02-030	38.00	39.50	1.50	0.03	<1	0.01	0.01	0.01
31	BH-20-02-031	39.50	41.00	1.50	0.03	<1	0.01	0.01	0.01
32	BH-20-02-032	41.00	42.50	1.50	0.04	<1	0.01	0.01	0.01
33	BH-20-02-033	42.50	44.00	1.50	0.02	<1	0.01	0.01	0.01
34	BH-20-02-034	44.00	45.50	1.50	0.04	<1	0.01	0.01	0.01
35	BH-20-02-035	45.50	47.00	1.50	0.02	<1	0.01	0.01	0.01
36	BH-20-02-036	47.00	48.50	1.50	0.03	<1	0.01	0.01	0.01
37	BH-20-02-037	48.50	50.00	1.50	0.04	<1	0.01	0.01	0.01
38	BH-20-02-038	50.00	51.50	1.50	0.03	<1	0.01	0.01	0.01
39	BH-20-02-039			0.00	0.02	<1	0.01	0.01	0.01
40	BH-20-02-040			0.00	0.02	<1	0.01	0.01	0.01
41	BH-20-02-041			0.00	1.69	19.54	0.06	0.38	0.6
42	BH-20-02-042	51.50	53.00	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
43	BH-20-02-043	53.00	54.50	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
44	BH-20-02-044	54.50	56.00	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
45	BH-20-02-045	56.00	57.50	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
46	BH-20-02-046	57.50	59.00	1.50	0.02	<1	0.01	0.01	0.01
47	BH-20-02-047	59.00	60.50	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
48	BH-20-02-048	60.50	62.00	1.50	0.02	<1	0.01	0.01	0.01
49	BH-20-02-049	62.00	63.50	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
50	BH-20-02-050	63.50	65.00	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
51	BH-20-02-051	65.00	66.50	1.50	0.02	<1	0.01	0.01	0.01
52	BH-20-02-052	66.50	68.00	1.50	0.02	<1	0.01	0.01	0.01
53	BH-20-02-053	68.00	69.00	1.00	0.02	<1	0.01	0.01	0.01
54	BH-20-02-054	69.00	70.00	1.00	0.02	<1	0.01	0.01	0.01

ქაბურღილი BH-20-04

##	ნიმუშის №№	დასინჯვის ინტერვალი (მ)			Au	Ag	Cu	Pb	Zn
		დან	მდე	სიგრძე					
1	BH-20-04-001	0.00	1.00	1.00	0.02	<1	0.01	0.01	0.01
2	BH-20-04-002	1.00	2.50	1.50	0.02	<1	0.01	0.01	0.01
3	BH-20-04-003	2.50	4.00	1.50	0.03	<1	0.01	0.01	0.01
4	BH-20-04-004	4.00	5.50	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
5	BH-20-04-005	5.50	7.00	1.50	0.02	<1	0.01	0.01	0.01
6	BH-20-04-006	7.00	8.50	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01

7	BH-20-04-007	8.50	10.00	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
8	BH-20-04-008	10.00	11.50	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
9	BH-20-04-009	11.50	13.00	1.50	0.03	<1	0.01	0.01	0.01
10	BH-20-04-010	13.00	14.50	1.50	0.02	<1	0.01	0.01	0.01
11	BH-20-04-011	14.50	16.00	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
12	BH-20-04-012	16.00	17.50	1.50	0.03	<1	0.01	0.01	0.01
13	BH-20-04-013	17.50	19.00	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
14	BH-20-04-014	19.00	19.50	0.50	0.03	<1	0.01	0.01	0.01
15	BH-20-04-015	19.50	20.00	0.50	0.02	<1	0.01	0.01	0.01
16	BH-20-04-016	20.00	21.50	1.50	0.03	<1	0.01	0.01	0.01
17	BH-20-04-017	21.50	23.00	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
18	BH-20-04-018	23.00	24.50	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
19	BH-20-04-019			0.00	0.01	<1	0.01	0.01	0.01
20	BH-20-04-020			0.00	0.01	<1	0.01	0.01	0.01
21	BH-20-04-021	24.50	26.00	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
22	BH-20-04-022	26.00	27.50	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
23	BH-20-04-023	27.50	29.00	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
24	BH-20-04-024	29.00	30.50	1.50	0.05	<1	0.01	0.01	0.01
25	BH-20-04-025	30.50	32.00	1.50	0.02	<1	0.01	0.01	0.01
26	BH-20-04-026	32.00	33.50	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
27	BH-20-04-027	33.50	35.00	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
28	BH-20-04-028	35.00	36.50	1.50	0.05	<1	0.01	0.01	0.01
29	BH-20-04-029	36.50	38.00	1.50	0.03	<1	0.01	0.01	0.01
30	BH-20-04-030	38.00	39.50	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
31	BH-20-04-031	39.50	41.00	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
32	BH-20-04-032	41.00	42.50	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
33	BH-20-04-033	42.50	44.00	1.50	0.03	<1	0.01	0.01	0.01
34	BH-20-04-034	44.00	45.50	1.50	0.03	<1	0.01	0.01	0.01
35	BH-20-04-035	45.50	47.00	1.50	0.02	<1	0.01	0.01	0.01
36	BH-20-04-036	47.00	48.50	1.50	0.02	<1	0.01	0.01	0.01
37	BH-20-04-037	48.50	50.00	1.50	0.03	<1	0.01	0.01	0.01
38	BH-20-04-038	50.00	51.50	1.50	0.05	<1	0.01	0.01	0.01
39	BH-20-04-039			0.00	0.03	<1	0.01	0.01	0.01
40	BH-20-04-040			0.00	0.02	<1	0.01	0.01	0.01
41	BH-20-04-041			0.00	0.29	<1	0.01	0.01	0.01
42	BH-20-04-042	51.50	53.00	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
43	BH-20-04-043	53.00	54.50	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
44	BH-20-04-044	54.50	56.00	1.50	0.03	<1	0.01	0.01	0.01
45	BH-20-04-045	56.00	57.50	1.50	0.02	<1	0.01	0.01	0.01
46	BH-20-04-046	57.50	59.00	1.50	0.03	<1	0.01	0.01	0.01
47	BH-20-04-047	59.00	60.50	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01

48	BH-20-04-048	60.50	62.00	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
49	BH-20-04-049	62.00	63.50	1.50	0.02	<1	0.01	0.01	0.01
50	BH-20-04-050	63.50	65.00	1.50	0.02	<1	0.01	0.01	0.01
51	BH-20-04-051	65.00	66.50	1.50	0.02	<1	0.01	0.01	0.01
52	BH-20-04-052	66.50	68.00	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
53	BH-20-04-053	68.00	70.00	2.00	0.02	<1	0.01	0.01	0.01

ჯაბურდლილი BH20-09

##	ნომერის №№	დასინჯვის ინტერვალი (მ)			Au	Ag	Cu	Pb	Zn
		დან	მდე	სიგრძე					
1	BH20-09-001	0.00	4.00	4.00	0.15	<1	0.01	0.01	0.01
2	BH20-09-002	4.00	5.50	1.50	0.02	<1	0.01	0.01	0.01
3	BH20-09-003	5.50	7.00	1.50	0.02	<1	0.01	0.01	0.01
4	BH20-09-004	7.00	8.50	1.50	0.04	<1	0.01	0.01	0.01
5	BH20-09-005	8.50	10.00	1.50	0.03	<1	0.01	0.01	0.01
6	BH20-09-006	10.00	11.50	1.50	0.05	<1	0.01	0.01	0.01
7	BH20-09-007	11.50	13.00	1.50	0.03	<1	0.01	0.01	0.01
8	BH20-09-008	13.00	14.50	1.50	0.03	<1	0.01	0.01	0.01
9	BH20-09-009	14.50	16.00	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
10	BH20-09-010	16.00	17.50	1.50	0.05	<1	0.01	0.01	0.01
11	BH20-09-011	17.50	19.50	2.00	0.01	<1	0.01	0.01	0.01
12	BH20-09-012	19.50	20.50	1.00	0.03	<1	0.01	0.01	0.01
13	BH20-09-013	20.50	22.00	1.50	0.03	<1	0.01	0.01	0.01
14	BH20-09-014	22.00	23.50	1.50	0.02	<1	0.01	0.01	0.01
15	BH20-09-015	23.50	25.00	1.50	0.02	<1	0.01	0.01	0.01
16	BH20-09-016	25.00	26.50	1.50	0.02	<1	0.01	0.01	0.01
17	BH20-09-017	26.50	28.00	1.50	0.02	<1	0.01	0.01	0.01
18	BH20-09-018	28.00	29.50	1.50	0.02	<1	0.01	0.01	0.01
19	BH20-09-019								
20	BH20-09-020								
21	BH20-09-021	29.50	31.00	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
22	BH20-09-022	31.00	32.50	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
23	BH20-09-023	32.50	34.00	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
24	BH20-09-024	34.00	35.50	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
25	BH20-09-025	35.50	37.00	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
26	BH20-09-026	37.00	38.50	1.50	0.03	<1	0.01	0.01	0.01
27	BH20-09-027	38.50	40.00	1.50	0.02	<1	0.01	0.01	0.01
28	BH20-09-028	40.00	41.50	1.50	0.02	<1	0.01	0.01	0.01
29	BH20-09-029	41.50	43.00	1.50	0.02	<1	0.01	0.01	0.01
30	BH20-09-030	43.00	44.00	1.00	0.02	<1	0.01	0.01	0.01
31	BH20-09-031	44.00	45.50	1.50	0.04	<1	0.01	0.01	0.01

32	BH20-09-032	45.50	47.00	1.50	0.03	<1	0.01	0.01	0.01
33	BH20-09-033	47.00	48.50	1.50	0.02	<1	0.01	0.01	0.01
34	BH20-09-034	48.50	50.00	1.50	0.02	<1	0.01	0.01	0.01
35	BH20-09-035	50.00	51.50	1.50	0.02	<1	0.01	0.01	0.01
36	BH20-09-036	51.50	52.00	0.50	0.03	<1	0.01	0.01	0.01
37	BH20-09-037	52.00	53.50	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
38	BH20-09-038	53.50	55.00	1.50	0.03	<1	0.01	0.01	0.01
42	BH20-09-042	55.00	56.50	1.50	0.03	<1	0.01	0.01	0.01
43	BH20-09-043	56.50	58.00	1.50	0.02	<1	0.01	0.01	0.01
44	BH20-09-044	58.00	59.50	1.50	0.03	<1	0.01	0.01	0.01
45	BH20-09-045	59.50	61.00	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
46	BH20-09-046	61.00	62.50	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
47	BH20-09-047	62.50	64.00	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
48	BH20-09-048	64.00	65.50	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
49	BH20-09-049	65.50	67.00	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
50	BH20-09-050	67.00	68.50	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
51	BH20-09-051	68.50	70.00	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01

ქაბურდელი BH20-20

##	ნიმუშის №№	დასინჯვის ინტერვალი (მ)			Au	Ag	Cu	Pb	Zn
		დან	მდე	სიგრძე					
1	BH20-20-001	77.00	78.50	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
2	BH20-20-002	78.50	80.00	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
3	BH20-20-003	80.00	81.50	1.50	0.03	<1	0.01	0.01	0.01
4	BH20-20-004	81.50	83.00	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
5	BH20-20-005	83.00	84.50	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
6	BH20-20-006	84.50	86.00	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
7	BH20-20-007	86.00	87.50	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
8	BH20-20-008	87.50	89.00	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
9	BH20-20-009	89.00	90.50	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
10	BH20-20-010	90.50	92.00	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
11	BH20-20-011	92.00	93.50	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
12	BH20-20-012	93.50	95.00	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
13	BH20-20-013	95.00	96.50	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
14	BH20-20-014	96.50	98.00	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
15	BH20-20-015	98.00	99.50	1.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01
16	BH20-20-016	99.50	100.00	0.50	0.01	<1	0.01	0.01	0.01

19. ბნელი ხევის საბადოს მადნების აღწერისას მითითებულია ქიმიური ელემენტების (Au, Ag, Cu, Pb, Zn, Ba, Sb, Sn, Cd, Pd, Mo, Nb, Zr, Sr, Rb, Bi, As, Se, W, Ni, Co, Fe, Mn, Cr, V, Ti, Ca, K, Al, P, Si, Cl, S, Mg) არსებობა, რაც არ არის მოცემული სხვა საბადოს მადნების აღწერისას. დასაზუსტებელია, აღნიშნული საბადოების მადნებში წარმოდგენილია თუ არა ისეთი ტოქსიკური მძიმე მეტალები და სხვა ელემენტები, როგორიცაა - Cd, Sr, As, Se, Co და სხვ.

- წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშში, ბნელიხევის საბადოზე მოცემულია არა მადნებში ქიმიური ელემენტების არსებობის შესახებ ინფორმაცია, არამედ ბნელიხევის მადნებში ქიმიური ელემენტების შემცველობების დადგენის მიზნით ჩატარებული ანალიზების შესახებ ინფორმაცია. უფრო კონკრეტულად, ბნელიხევის მადნებში ჩატარდა ზემოაღნიშნულ ელემენტებზე (Au, Ag, Cu, Pb, Zn, Ba, Sb, Sn, Cd, Pd, Mo, Nb, Zr, Sr, Rb, Bi, As, Se, W, Ni, Co, Fe, Mn, Cr, V, Ti, Ca, K, Al, P, Si, Cl, S, Mg) ქიმიური ანალიზები. შესაბამისად, გზშ-ს ანგარიშში დაშვებულია ტექნიკური ხასიათის შეცდომა და ნაცვლად „ბნელიხევის საბადოს მადნებში დადგენილია ქიმიური ელემენტების შემცველობა“ უნდა ყოფილიყო, „ბნელიხევის საბადოს მადნებში ქიმიური ელემენტების შემცველობის დადგენის მიზნით ჩატარდა კვლევა შემდეგ ელემენტებზე: ეს ელემენტებია:...“

ისევე როგორც „ბნელიხევის“ აგრეთვე „მუშევანი 2“-ის, „მადნეული“-ს და „ბექთაქარის“ და „საყდრისის“ საბადო მიეკუთვნება ბოლნისის მადნიანი ველის სახელით ცნობილ ბოლნისის ჯგუფის საბადოებს, რაც ნიშნავს, რომ მინერალოგიური თვალსაზრისით მეტალების სახეობები ზემოთჩამოთვლილ საბადოებზე ჰომოგენურობით ხასიათდება. ზემოთჩამოთვლილი საბადოების მადნებშიც ანალოგიურად ხორციელდება მინერალოგიური მონაცემების გაანალიზება ყველა მეტალზე მათ შორის Au, Ag, Cu, Pb, Zn, Ba, Sb, Sn, Cd, Pd, Mo, Nb, Zr, Sr, Rb, Bi, As, Se, W, Ni, Co, Fe, Mn, Cr, V, Ti, Ca, K, Al, P, Si, Cl, S, Mg ელემენტებზე. თუმცა როგორც „ბნელიხევის“ აგრეთვე სხვა საბადოების შემთხვევაშიც ამ ელემენტების შემცველობა ფაქტიურად ნულს უტოლდება (ხშირ შემთხვევაში დეტექციის ზღვარზე ან ზღვარს მიღმა შემცველობებით) და მისი კორელაცია ოქროსთან არ დასტურდება. გასათვალისწინებელია, რომ კომპანია მუდმივად ატარებს წინასწარ/დეტალურ გეოლოგიურ სამუშაოებს და სამუშაოების შედეგებზე დაყრდნობით, საერთაშორისო სტანდარტის, (JORC)-ის კოდექსის შესაბამისად შედგენილ მარაგების ანგარიშს დასამტკიცებლად წარუდგენს სახელმწიფო უწყებათაშორის კომისიას (მსკ). კომპანიის მიერ შესაბამისი უწყებათაშორისი კომისიისათვის წარდგენილ სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიშში წარდგენილია დეტალური ინფორმაცია გეოლოგიურ-აგეგმვით სამუშაოებზე, გეოქიმიურ და გეოფიზიკურ კვლევებზე, ქანების ნივთიერ და მინერალოგიურ შემადგენლობაზე დ.ა.შ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სს „RMG Copper“- ისა და შპს „RMG Gold“ - ის მიერ სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიაზე მარაგების ანგარიშებით „საყდრისის“, „მადნეულის“ და „მუშევანი 2“ საბადოზე არ არის დამტკიცებული ისეთი ტოქსიკური მძიმე მეტალები და სხვა ელემენტები, როგორიცაა - Cd, Sr, As, Se, Co. რაც შეეხება ბექთაქარის საბადოს, აქაც არ არის დამტკიცებული ისეთი ტოქსიკური მძიმე მეტალები, როგორიცაა Cd, Sr, As, Se, Co. თუმცა, რაც შეეხება ტყვიას (Pb) და თუთიას (Zn), ეს ელემენტები ვერცხლთან (Ag) და ოქროსთან (Au) ერთად ბექთაქარის საბადოზე ძირითადი ელემენტებია და დამტკიცებულია მისი ოდენობები.

20. გარდა ზემოაღნიშნულისა, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ან/და შესაბამის თავში სათანადოდ გათვალისწინებული არ არის სს „RMG Copper“-ის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (ახალი კუდსაცავის, მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობა და საწარმოს წარმოდგენის გაზრდა) 2022 წლის 4 აპრილის N 15 სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული შემდეგი საკითხები: გამწმენდი ნაგებობის განთავსების ადგილის GIS კოორდინატები, SHP ფაილებთან ერთად; გამწმენდის მანძილი უახლოეს საცხოვრებელ სახლებამდე (ფოტო მასალა), მდინარემდე - მდებარეობის მითითებით; წარმოქმნილი შლამის მართვის საკითხები.

- როგორც გზშ-ს ანგარიშშია აღნიშნული, ახალი კუდსაცავის დამბიდან გამოსული წყალი გაივლის ქიმიური გაწმენდის პროცესს და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება მისი მდინარეში ჩაშვება. იქვე აღნიშნულია, რომ გზშ-ს ამ ეტაპზე გამწმენდი ნაგებობის ზუსტი პროექტი არ არის შესრულებული. დღეის მდგომარეობით გამოცხადებული საერთაშორისო ტენდერი აღნიშნული გამწმენდი ნაგებობის პროექტირებასა და მშენებლობაზე. ტენდერის პროცესში ჩართულია Hatch-ის სამხრეთ აფრიკის ფილიალი, რომელმაც გარკვეული კვლევების საფუძველზე დაეხმარა კომპანიას სატენდერო ტექნიკური დავალების შედგენაში და ასევე დაეხმარება კომპანიას გამარჯვებული კანდიდატის შერჩევაში.

სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადაა 25 იანვარი. როგორც კი მოხდება წინადადებების განხილვა და გამოვლინდება გამარჯვებული ორგანიზაცია, სს RMG Copper მიმართავს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს შესაბამისი სანებართვო პროცედურების გავლის მიზნით. წარმოდგენილ ანგარიშში დაზუსტებით იქნება განხილული პროექტის ტექნიკური დეტალები და სხვა საკითხებთან ერთად - შლამის მართვის საკითხებიც.

რაც შეეხება შლამის მართვის სქემას, ის იდენტური იქნება არსებული ქიმიური გამწმენდი ნაგებობების შლამის მართვის სქემისა, იმ განსხვავებით, რომ შლამი განთავსდება იმ პერიოდში მოქმედ ახალი კუდსაცავში.

გამწმენდი ნაგებობის განთავსების ადგილის GIS კოორდინატები, SHP ფაილებთან ერთად წარმოდგენილია დანართის სახით (იხ. დანართი 3. SHP ფაილი), ხოლო ინფორმაცია გამწმენდი ნაგებობიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლებამდე და მდინარემდე მანძილების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ნახაზზე 20.1.

ნახაზი 20.1. გამწმენდი ნაგებობის სავარაუდო განთავსების ადგილი



21. ასევე, გაცნობებთ, რომ ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით, სააგენტოში ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ მიერ, წარმოდგენილ იქნა დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ შენიშვნები/ მოსაზრებები.

21.1. საჯარო განხილვა

2022 წლის 27 სექტემბერს სს „RMG Copper“-ის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების შეცვლის (ახალი კუდსაცავის მოწყობა) პროექტის გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვები ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ გეტაში და დაბა კაზრეთში ჩატარდა.

აღსანიშნავია, რომ სოფელ გეტის მაცხოვრებლების უმრავლესობას შეადგენენ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, კერძოდ, აზერბაიჯანლები და 27 სექტემბერს გეტაში ჩატარებული საჯარო განხილვის დამსწრე ადგილობრივებიც იყვნენ აზერბაიჯანლები. ამის მიუხედავად, საჯარო განხილვისას კომპანია RMG Copper-ის თანამშრომლების მიერ წარმოდგენილი პროექტის პრეზენტაცია იყო ქართულ ენაზე. მართალია, განხილვას ესწრებოდა თარჯიმანი, რომელიც თარგმნიდა, როგორც კომპანიის წარმომადგენლების, ისე სხვა დამსწრეთა საუბარს, თუმცა პროექტის ზემოქმედების შესახებ სრული და გასაგები ინფორმაციის მისაღებად მნიშვნელოვანია ადამიანები არამარტო ვერბალური კომუნიკაციის გზით იყვნენ ინფორმირებულნი, არამედ ჰქონდეთ მიწოდებული ინფორმაციის ვიზუალურად გააზრების შესაძლებლობაც, მითუმეტეს, როდესაც საქმე ეხება ისეთ ტექნიკურ და რთულ პროექტს, როგორიცაა კუდსაცავის მშენებლობა.

გარდა პრეზენტაციისა, აუცილებელია, რომ ეთნიკური უმცირესობის ენაზე იყოს ნათარგმნი არატექნიკური რეზიუმე. ეს საჭიროა, რადგანაც შეუძლებელია მოკლე პრეზენტაციისას ყურადღება გამახვილდეს პროექტთან და მოსალოდნელ ზემოქმედებასა თუ რისკებთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან დეტალზე, რომელთა ცოდნაც შესაძლოა კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყოს ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის.

აუცილებელია, რომ ეს შენიშვნა გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გათვალისწინებული იყოს ყველა იმ პროექტის შემთხვევაში, რომელიც ეთნიკური უმრავლესობით დასახლებული ტერიტორიების სიახლოვეს ხორციელდება.

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის „საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ №2-94 ბრძანების მე-9 მუხლის (საჯარო განხილვის სხდომის მიმდინარეობა) 1-ლი ქვეპუნქტის შესაბამისად: „საჯარო განხილვა ტარდება ქართულ ენაზე“.

აღნიშნულის მიუხედავად, პროექტის სირთულიდან და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის მნიშვნელობიდან გამომდინარე 2022 წლის 27 სექტემბერს სოფელ გეტაში ჩატარებულ საჯარო განხილვას ესწრებოდა თარჯიმანი, რომელიც თარგმნიდა, როგორც კომპანიის წარმომადგენლების, ისე სხვა დამსწრეთა საუბარს, შესაბამისად საჯარო განხილვაზე დამსწრე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს ჰქონდათ საშუალება მიეღოთ დეტალური ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით, დაესვათ კითხვები და მოესმინათ პასუხები კომპანიის წარმომადგენლებისგან მათთვის გასაგებს ენაზე. ამასთან, აღსანიშნავია რომ დამსწრე საზოგადოების მხირდან საჯარო განხილვის პროცესში ენის ბარიერთან დაკავშირებული პრეტენზიები არ დაფიქსირებულა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიამ უზრუნველყო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით დოკუმენტაციის მომზადება/წარდგენა და საჯარო განხილვის ჩატარება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

21.2. ანგარიშის სტრუქტურა

RMG Copper-ის მიერ წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიშის ძირითადი ტექსტი საკმაოდ მოცულობითია და შედგება 1003 გვერდისგან (დამატებითი დანართების გამოკლებით). გაურკვეველი პრინციპით, ანგარიში დაყოფილია სამ ტომად. 1-ელ ტომში (1-12 თავები) წარმოდგენილია ინფორმაცია არსებულ საქმიანობასთან და დაგეგმილ პროექტთან დაკავშირებით, მეორე ტომი იწყება ტყისსარგებლობის საკითხებით და გრძელდება შესაძლო ზემოქმედების განხილვით; მესამე ტომში წარმოდგენილია დანართები. ამასთან, თითოეულ ტომს აქვს ცალ-ცალკე სარჩევი, რაც აზნევს მკითხველს და არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ერთიანად აღიქვას ანგარიში. იმის გასარკვევად, თუ რა საკითხებს ეძღვნება მე-2 ტომი, 553-ე გვერდზე მოცემული სარჩევი უნდა იხილო. გარდა ამისა, 1-ელი და მე-2 ტომის სახელწოდება ერთია - „სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთის ტერიტორიაზე სს „RMG Copper“-ის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების შეცვლის (ახალი კუდსაცავისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობა და საწარმოს წარმადობის გაზრდა) პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში“; ეს არ იძლევა საშუალებას, რომ იმთავითვე განასხვავო ერთმანეთისგან შინაარსობრივად ტომები და მიხედვით წინა ტომისგან განსხვავებულ რომელ საკითხებს შეხვდები შემდეგ ტომში. საბოლოო ჯამში, ანგარიშის ასეთი არალოგიკური სტრუქტურა და დაქსაქსულობა მკითხველისთვის გაურკვეველობის მიზეზს აჩენს და დაგეგმილი ცვლილებების თანმიმდევრულად და სრულად აღქმის საშუალებას ზღუდავს.

- სს „RMG Copper“ - ის მიერ წარმოდგენილია „ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთის ტერიტორიაზე სს „RMG Copper“-ის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების შეცვლის (ახალი კუდსაცავისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობა და საწარმოს წარმადობის გაზრდა) პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. დოკუმენტის ნაბეჭდი ვერსია შედგება სამი ტომისგან. სამივე ტომის სახელწოდება ერთიდაიგივეა, ვინაიდან, სამივე ტომი ერთსა და იმავე გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს ეხება. თითოეულ ტომს აქვს ცალკე სარჩევი, რომელიც იძლევა საშუალებას მკითხველისათვის და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის გაეცნოს თითოეულ ტომში განხილულ საკითხებს. დოკუმენტის ელექტრონულ ვერსიაშიც შენარჩუნებულია ეს მიდგომა და გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე ატვირთულია გზშ ანგარიში სამ ტომად, თუმცა ერთიან ფაილად, ანუ იმ განსხვავებით რომ ელექტრონულ ვერსიაში ერთ ფაილში (ერთ პდფ ფაილში) გაერთიანებული სამივე ტომი, რაც მკითხველისათვის და დაინტერესებული პირისთვის უფრო აქმადას და წაკითხვადს ხდის დოკუმენტს. მიგვაჩნია, რომ ცალ-ცალკე ტომების ელ. ვერსიების ატვირთვა, იმ პირობებში, როდესაც გზშ-ს თან ახლავს არაერთი დანართი (აგრეთვე ელ. ვერსიის სახით) დოკუმენტაცია, კიდევ უფრო დამაბნეველს გახდოდა დაინტერესებული პირებისთვის გზშ ანგარიშს. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ უნდა იქნეს გაზიარებული „მწვანე ალტერნატივის“ შენიშვნა ანგარიშის სტრუქტურასთან დაკავშირებით.

21.3. საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება და დაგეგმილი საქმიანობების თანმიმდევრულობა

როგორც გზშ-ის ანგარიშიდან ირკვევა, ანგარიში მოიცავს რამდენიმე დაგეგმილ საქმიანობას, კერძოდ, ახალი კუდსაცავის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობას, თავად საწარმოს წარმადობის გაზრდას და ამისთვის საჭირო ტექნოლოგიურ ცვლილებებს.

ყურადსაღებია, რომ სკოპინგის ეტაპზე კომპანიის მიერ წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიში მხოლოდ ახალი კუდსაცავის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობას ეხებოდა; საწარმოს ექსპლუატაციასთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები მხოლოდ გზშ-ის ანგარიშში გაერთიანდა, რაც იმთავითვე არასწორია. იმ შემთხვევაში თუ კომპანიას სურს ყველა დაგეგმილი ცვლილების ერთი გზშ-ის პროცედურის ქვეშ განხილვა, ეს პროცესი უნდა დაიწყოს სკოპინგის და არა გზშ-ის ეტაპიდან.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სკოპინგის დასკვნით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო კომპანიას სთხოვდა დაგეგმილი ცვლილებების დეტალურ და თანმიმდევრულ აღწერას (4.3. დაგეგმილი ცვლილებების დეტალური, თანმიმდევრული აღწერა). თუმცა, წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია მეტად ქაოსურადაა წარმოდგენილი, რაც მკითხველისთვის ძალიან რთულს ხდის იმის გაგებას, თუ ზუსტად რა საქმიანობების განხორციელებას ითვალისწინებს დაგეგმილი პროექტი.

მაგალითისთვის, გზშ-ის ანგარიშის მე-4 თავში, რომლის სახელწოდებაცაა „მიმდინარე საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა“ გაფანტულია ინფორმაცია სხვადასხვა დაგეგმილი ცვლილებების შესახებ; 4.21.1.1 ქვეთავში აღწერილია ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის ტექნოლოგიურ სქემაში დაგეგმილი ცვლილებები, ავტოგასამართი სადგურების შესახებ 4.24.2 ქვეთავში კი, საუბარია დამატებით ორი მობილური სადგურის მოწყობის შესახებ.

ამასთან, ანგარიშის მე-5 თავი ეძღვნება დაგეგმილი საქმიანობის ზოგად აღწერას. კომპანია „RMG Copper“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შენიშვნაზე (4.3. დაგეგმილი ცვლილებების დეტალური, თანმიმდევრული აღწერა) პასუხში სწორედ აღნიშნულ თავზე მიუთითებს; თუმცა, ამ თავში წარმოდგენილია ინფორმაცია მხოლოდ საპროექტო კუდსაცავის ინფრასტრუქტურასთან და ტექნოლოგიურ პროცესებთან დაკავშირებით და არაა წარმოდგენილი დაგეგმილი ცვლილებების სრული და მითუმეტეს თანმიმდევრული სურათი.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიში აბსოლუტურად ქაოსურია და დოკუმენტიდან შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ ზუსტად რა საქმიანობებს და ცვლილებებს უტარდება გზშ.

- პირველ რიგში არ უნდა იქნეს გაზიარებული „მწვანე ალტერნატივის“ შენიშვნას იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოს სკოპინგის ეტაპზე, კომპანიამ სათანადოდ არ წარმოადგინა დაგეგმილი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია. სკოპინგის ანგარიშში განხილულია, როგორც ახალი კუდსაცავის, აგრეთვე წარმადობის ზრდის, ბიოლოგიურ გამწმენდი ნაგებობისა და ავტოგასამართი სადგურების ექსპლუატაციის საკითხები და ა.შ. უფრო მეტიც, სკოპინგის ანგარიშში პირდაპირ არის მითითებული, რომ ვინაიდან სს „RMG Copper“ ფლობს რამდენიმე გარემოსდაცვით და სკრინინგის გადაწყვეტილებებს, რომლებიც ტექნიკურად და ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულია, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სკოპინგის ანგარიშში

და გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშში ასახული ყოფილიყო სს „RMG Copper“-ის საქმიანობები, რაზეც ერთი მხრივ, შესაძლებელი იქნება ერთიანი, ახალი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება, ხოლო მეორეს მხრივ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მოხდება ძველი გადაწყვეტილებების გაუქმება (როგორც გარემოსდაცვითი და აგრეთვე სკრინინგის გადაწყვეტილებების). შესაბამისად, „მწვანე ალტერნატივის“ პოზიცია, რომ: „საწარმოს ექსპლუატაციასთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები მხოლოდ გზშ-ის ანგარიშში გაერთიანდა, რაც იმთავითვე არასწორია. იმ შემთხვევაში თუ კომპანიას სურს ყველა დაგეგმილი ცვლილების ერთი გზშ-ის პროცედურის ქვეშ განხილვა, ეს პროცესი უნდა დაიწყოს სკოპინგის და არა გზშ-ის ეტაპიდან“ - დაუსაბუთებელია და არ უნდა იქნეს გაზიარებული.

რაც შეეხება თანმიმდევრულობას და ტექსტის აღქმადობას, წარმოდგენილი გზშ ანგარიშში ცალ-ცალკეა განხილული მიმდინარე საქმიანობა და დაგეგმილი საქმიანობა. გამონაკლისის სახით, მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაა როდესაც მიმდინარე საქმიანობის განხილვისას საუბარია აგრეთვე დაგეგმილი საქმიანობის შესახებ, ეს ეხება მაგ. ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის ტექნოლოგიურ სქემაში დაგეგმილი ცვლილებების აღწერას, რაც შეგნებულად იქნა გაკეთებული ვინაიდან მკითხველისთვის როდესაც მაგ. ბიოლოგიურ გამწმენდ ნაგებობას განიხილავს სრულად ყოფილიყო დაფარული მასთან დაკავშირებული ინფორმაცია (როგორც მიმდინარე ისე მასში ცვლილებების შეტანის საკითხი). თუმცა როგორც აღვნიშნეთ, ეს არის მხოლოდ ერთეული (რამდენიმე საკითხია მსგავსი) გამონაკლისი შემთხვევა და არ ეხება მთლიან ტექსტს. ახალ კუდსაცავთან და წარმადობის ზრდასთან დაკავშირებული საკითხები რა თქმა უნდა განხილულია ცალკე - დაგეგმილი საქმიანობის ნაწილში. შესაბამისად, გადაჭარბებულია შეფასება იმასთან დაკავშირებით, რომ დოკუმენტი არათანმიმდევრულია. ნებისმიერ შემთხვევაში, დაინტერესებული პირებისათვის დოკუმენტის წაკითხვით სრულად ნათელი და გასაგებია თუ რა ნაწილში არის დაგეგმილი ცვლილებები და რა ნაწილში ნარჩუნდება ექსპლუატაციის არსებული პირობები. რაც შეეხება კუდსაცავთან დაკავშირებით სრული სურათის არ წარმოდგენას, მიგვაჩნია, რომ ამ ნაწილშიც არ უნდა იქნეს გაზიარებული „მწვანე ალტერნატივის“ მოსაზრება, ვინაიდან კუდსაცავთან დაკავშირებით ინფორმაცია წარმოდგენილია მაქსიმალურად გასაგებად, დეტალურად და ამომწურავად.

21.4. მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის წარმადობის გაზრდა

აღსანიშნავია, რომ დაგეგმილი პროექტი ითვალისწინებს, ასევე, RMG Copper-ის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის წარმადობის გაზრდას. სამინისტროს 2022 წლის 4 აპრილის სკოპინგის დასკვნის მოთხოვნების მე-14 პუნქტიც სწორედ აღნიშნულს ეხება; კერძოდ, სამინისტრო კომპანიისგან ითხოვდა, რომ გზშ-ის ანგარიშში ასახულიყო დეტალური ინფორმაცია RMG Copper-ის საწარმოს წარმადობის გაზრდასთან დაკავშირებით. კომპანია გზშ-ს ანგარიშში შენიშვნაზე პასუხად ამბობს, რომ ის გათვალისწინებულია და მიუთითებს მე-4 თავზე (მიმდინარე საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა). ამის მიუხედავად, მითითებულ თავში ვერსად ვხვდებით დეტალურ ინფორმაციას წარმადობის გაზრდაზე, ვკითხულობთ მხოლოდღა შემდეგს: „არსებული გამამდიდრებელი ფაბრიკის გადაიარაღების/მოდერნიზაციის დასრულების შემდეგ კომპანიას დაგეგმილი აქვს ბნელი ხევის და მუშევანის საბადოებიდან, ასევე სხვა კარიერებიდან და საბადოებიდან მოპოვებული მსგავსი ტიპის მადნების გადამუშავება, საწარმოში მოქმედი ტექნოლოგიური ციკლის შესაბამისად და გადამუშავების

ტექნოლოგიის (ფლოტაცია) შეუცვლელად. აღნიშნული ტექნიკური ცვლილებები ასევე იძლევა საწარმოს წლიური წარმადობის ზრდის საშუალებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებული გამამდიდრებელი საწარმოს წარმადობა გაიზრდება 3.00 მლნ. ტონამდე წელიწადში“; საწარმოს წარმადობის გაზრდასთან დაკავშირებით ანგარიშში სხვა ინფორმაცია მოწოდებული არაა.

ამასთან, გაურკვეველია, ასევე წლიური წარმადობის ზრდის მოცულობაც. ცხრილში 4.1.1 - ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ - მოცემულია, რომ ფაბრიკის წლიური წარმადობა ამჟამად არის 3 მლნ. ტ/წ; მე-4 თავში კი ნათქვამია, რომ საწარმოს წარმადობა გაიზრდება 3.00 მლნ ტონამდე. გაუგებარია, საწარმოს წლიური წარმადობა დამატებით 3.00 მლნ ტონით გაიზრდება ანუ გაორმაგდება თუ ამჟამინდელი მოცულობაა არასწორად მოცემული და გაზრდის შემდეგ შეადგენს წარმადობა 3.00 მლნ ტ/წ-ს.

გარდა იმისა, რომ წარმადობის ზრდის რიცხოვრივი მაჩვენებელი საჭიროებს დაზუსტებას/ახსნას, აუცილებელია, რომ წარმადობის საკითხი და მასთან დაკავშირებული მოსალოდნელი ზემოქმედება სათანადოდ იყოს შეფასებული და წარმოდგენილი ანგარიშში.

- მსგავსი შინაარსის საკითხთან დაკავშირებით კომპანიის პოზიცია იხ. ზემოთ პუნქტი 13; გვ.19.

21.5. კუდსაცავის ექსპლუატაციის მაქსიმალური ვადა და საპროექტო დამბის შემდგომი განვითარების შესაძლებლობა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2022 წლის 4 აპრილს გაცემულ სკოპინგის დასკვნაში სამინისტრო კომპანიისგან ითხოვს როგორც ინფორმაციას საპროექტო კუდსაცავის ექსპლუატაციის მაქსიმალური ვადის შესახებ (4.13), ისე დაზუსტებულ ინფორმაციას საპროექტო დამბის განვითარება/ამაღლების შესაძლებლობის შესახებ.

ანგარიშში კუდსაცავის ექსპლუატაციის ვადის შესახებ ვხვდებით ერთადერთ ჩანაწერს: „პიონერული დამბის მაქსიმალური ნიშნული იქნება 844 მ-ზე, რაც საკმარისია წარმოების პირველი 3 წლის განმავლობაში წარმოქმნილი კუდების განთავსებისთვის“.

კუდსაცავის მაქსიმალურ პოტენციალად 3 წელიც რომ მივიჩნიოთ, ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ამ ეტაპზე დაგეგმილი პროექტის ექსპლუატაციის ვადაა. ფაქტია, მსგავსი მასშტაბისა და ღირებულების პროექტი მხოლოდ ხუთწლიანი გამოყენებისთვის არ განხორციელდება და ბევრად დიდი ხნის განმავლობაში გააგრძელებს ფუნქციონირებას. კუდსაცავის შემდგომ გაფართოებაზე თავად ანგარიშშიცაა საუბარი. ანგარიშის 3.3.1 პარაგრაფში (დამბის ტიპის ალტერნატივები) აღნიშნულია

„დამბის შევსების შემდეგ კომპანია მიმართავს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შემდეგი ეტაპისათვის სანებართვო პროცედურების გასაწველად. დამბის ამაღლება ეტაპობრივად მოხდება“; „დამბის შემდგომი განვითარების შემთხვევაში, კარიერებიდან მოპოვებული მასალით (ალუვიური თიხოვანი გრუნტებით ან კაჭართიხნარით) აგებული პიონერული დამბის ამაღლება მოხდება ქვაყრილით და ადგილობრივად მოპოვებული შემავესებლებით, ქვემოდან ზემო მიმართულებით, რაც შეასრულებს მზიდი კონსტრუქციის ფუნქციას. გაჟონვის საწინააღმდეგო ბარიერის უზრუნველყოფის მიზნით დამბის ამაღლებასთან ერთად იწვევს დამბის ცენტრში განთავსებული კაჭართიხნარის გული (დაბალი გამტარიანობის ზონა)“.

მიუხედავად იმისა, რომ სამინისტრო სკოპინგის დასკვნაში საპროექტო დამბის განვითარება/ამაღლებების შესაძლებლობის შესახებ დაზუსტებულ ინფორმაციას ითხოვდა (32.7), ზემოაღნიშნული ჩანაწერების გარდა, სხვა სახის ინფორმაცია დამბის მაქსიმალური პოტენციალისა და განვითარების შესაძლებლობების შესახებ არსად გვხვდება.

დაგეგმილი კუდსაცავის განვითარების მაქსიმალური პოტენციალის შეფასება და ზემოქმედების სრული მასშტაბის წინასწარ განსაზღვრა კრიტიკულად მნიშვნელოვანია გარემოზე ზემოქმედების სრულფასოვანი შეფასებისთვის. არ შეიძლება მოსალოდნელ ზემოქმედებაზე მხოლოდ სამწლიან პერიოდში საუბარი მაშინ, როდესაც კუდსაცავის ექსპლუატაცია შეიძლება რამდენიმე ათეული წელი გაგრძელდეს და კუდსაცავის ტერიტორიამ დღესდღეობით გათვალისწინებულ ფართობზე (დაახლოებით 80 ჰა) ბევრად დიდი ტერიტორია დაფაროს. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად გაიზრდება უარყოფითი ზემოქმედების მასშტაბი როგორც ბუნებრივ, ისე სოციალურ გარემოზე.

ამგვარად, აუცილებელია, რომ კუდსაცავის გაფართოების პოტენციალის, მომავალში ასათვისებელი ტერიტორიის და მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ დეტალური ინფორმაცია ამ ეტაპზე იყოს შესწავლილი და წარმოდგენილი.

- მსგავსი შინაარსის საკითხთან დაკავშირებით კომპანიის პოზიცია იხ. ზემოთ პუნქტი 14; გვ.21

21.6. არსებული კუდსაცავის დახურვა

დაგეგმილ საქმიანობაზე გაცემული სკოპინგის დასკვნის თანახმად, გზშ ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს „კუდსაცავის დახურვის, შემდგომ რეკულტივაციისა და პირვანდელ მდგომარეობამდე მიახლოებული გარემოს აღდგენის ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია. მათ შორის, კუდსაცავის დახურვის კონცეპტუალური გეგმა“.

განსახილველი დოკუმენტი მოიცავს თავს სახელწოდებით „4.17.3 არსებული კუდსაცავის კონსერვაცია“ - სადაც მხოლოდ მიმოხილულია კანონის მოთხოვნები და აღნიშნულია, რომ არსებული კუდსაცავის კონსერვაციის გეგმა შემუშავდება და შეთანხმდება სამინისტროსთან.

რაც შეეხება კუდსაცავის დახურვის კონცეპტუალური გეგმას, სკოპინგის დასკვნის მოთხოვნების შესრულების ცხრილში კომპანია უთითებს რომ ეს ინფორმაცია წარმოდგენილია მე-9 პარაგრაფში. მე-9 პარაგრაფში სათაურით: „კუდსაცავის დახურვის კონცეპტუალური გეგმა“ - აღნიშნულია, რომ „კუდსაცავის დახურვის კონცეპტუალური გეგმა, რომელიც ეფუძნება საბოლოო კონცეპტუალური კონფიგურაციის კუდსაცავზე კუდების განთავსების გეგმას განხილულია წინამდებარე დოკუმენტის მე- 17 თავში, ექსპლუატაციის შეწყვეტა“. თუმცა, მე-17 თავშიც თითქმის იდენტური ინფორმაციაა წარმოდგენილი.

- გზშ-ს ანგარიშში ნახსენები „კუდსაცავის დახურვის კონცეპტუალური გეგმა“ წარმოადგენს ახალი კუდსაცავის კონსერვაციის (დახურვის) გეგმის ძირითად კონცეფციას, რომელიც შემუშავდება ახალი კუდსაცავის ფუნქციონირების უფრო გვიან სტადიაზე.

რაც შეეხება არსებული კუდსაცავის კონსერვაციას, როგორც გზშ-ს ანგარიშში იქნა აღნიშნული ახალი კუდსაცავის ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ მოხდება არსებული კუდსაცავის კონსერვაცია წინასწარ შემუშავებული კონსერვაციის გეგმის შესაბამისად, რომელიც

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემდეგ წარედგინება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს (საჭიროებისამებრ). კუდსაცავის კონსერვაცია არ გამოირიცხავს კუდსაცავის სარეკულტივაციო სამუშაოების შეჩერებას, კონსერვაციის პარალელურად გაგრძელდება კუდსაცავის დამბის სხეულზე სარეკულტივაციო სამუშაოების მიმდინარეობას.

ამ ეტაპზე არსებული კუდსაცავის კონსერვაციის პროექტი მომზადების პროცესშია, გაფორმებულია ხელშეკრულება საინჟინრო-საკონსულტაციო ორგანიზაციასთან, რომელმაც დაიწყო მუშაობა პროექტზე. პროექტის შედგენისთვის საჭიროა მასშტაბური კვლევების/სამუშაოების ჩატარება, მათ შორის ბურღვის სამუშაოებს ქანებში ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასადგენად, რაც დამატებით დროსთან არის დაკავშირებული.

როგორც აღვნიშნეთ, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მოპოვების შემთხვევაში კომპანია წარადგენს კონსერვაციის პროექტს განსახილველად საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში. შესაბამისად პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია ჯერ ვერ იქნება წარმოდგენილი.

კონსერვაციის პროექტი შედგენილი იქნება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, და უნდა მოიცავდეს შემდეგ ძირითად საკითხებს:

- წიაღით სარგებლობის ობიექტის დროებითი კონსერვაციის პირობებს;
- ობიექტის და მისი მიმდებარე ტერიტორიის უსაფრთხოების მიზნით გასატარებელი ზომებს;
- ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ზომებს;
- კომუნალური სისტემების შენარჩუნების საკითხებს;
- კუდსაცავის სანიაღვრე / დრენირებული წყლების სისტემის ოპერირების რეჟიმის შესახებ ინფორმაციას.

კონსერვაციის გეგმის სტრუქტურა და განხილული საკითხები მოცემულია ქვემოთ:

- კუდსაცავის კაშხლის ფაქტობრივი მდგომარეობის აღწერა
- კუდსაცავის ტერიტორიის ბუნებრივი პირობების მახასიათებლების აღწერა
- ინფორმაცია საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესახებ
- ინფორმაცია ჰიდროლოგიური პირობების შესახებ
- ინფორმაცია რეგიონის მეტეოროლოგიური და კლიმატური პირობების შესახებ
- ინფორმაცია რეგიონის სეისმური პირობების შესახებ
- ზედაპირული ჩამონადენის მართვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების აღწერა
- ბუნებრივ ხეობაში დარჩენილი წყალშემკრები ზონიდან ზედაპირული ჩამონადენის გადაგდების ზომების აღწერა
- არსებული კუდსაცავის წყლის ბალანსის გაანგარიშება
- იმ იმფრასტრუქტურული სისტემებისა და დანადგარების ჩამონათვალი, რომლებიც გააგრძელებენ ფუნქციონირებას კონსერვაციის პერიოდში
- სადემონტაჟო სისტემებისა და სტრუქტურების ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს ჰიდროტრანსპორტის და კუდების ჩასხმის სისტემის დემონტაჟს და წყალმომარაგების (წყალსაქაჩი) სისტემის დემონტაჟს.
- ღონისძიება ე.წ. პლაჟის ამტვერიანებისგან დასაცავად ქარის ეროზიის ზემოქმედებით.

- საველე და ინსტრუმენტალური მონიტორინგი კონსერვაციის შემდგომ
- უსაფრთხოების კრიტერიუმები, კერძოდ კაშხლის სტაბილურობის კვლევა, კაშხლის დაძაბულობის მდგომარეობისა და სტაბილურობის გაანგარიშება
- კუდსაცავის კონსერვაციის შემდეგ გარემოზე ზემოქმედების განხილვა, კერძოდ კონსერვაციის სამუშაოების დასრულების შემდეგ ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედების შეფასება, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შეფასება, ხმაურის ზემოქმედების შეფასება, ფლორასა და ფაუნაზე ზემოქმედების შეფასება, ნიადაგზე ზემოქმედების შეფასება, ნარჩენების წარმოქმნის კუთხით გარემოზე ზემოქმედების შეფასება საგანგებო სიტუაციების განხილვა
- ზოგადი დასკვნები და რეკომენდაციები

21.7. კუმულაციური ზემოქმედება

კუმულაციური ზემოქმედების თავში არაფერია ნათქვამი მუშევანი 2-ის ოქრო-სპილენძის საბადოს ღია კარიერული წესით მოპოვების პროექტის ზეგავლენაზე. როგორც ცნობილია, აღნიშნული პროექტის ფარგლებში იგეგმება სოფელ მუშევანთან ახლოს, 80 ჰექტარამდე ფართობის ტყიანი ტერიტორიის ათვისება ღია კარიერული წესით წიაღის მოსაპოვებლად; დაგეგმილი კუდსაცავის პროექტიც დაახლოებით 80 ჰექტარი ფართობის ტყის ათვისებას ითვალისწინებს.

მიუხედავად ამისა, კუმულაციური ზემოქმედების განხილვისას ნახსენებიც კი არაა მუშევანის საბადოს ათვისების პროექტი და ის კუმულაციური ზემოქმედება, რომელიც ამ ორი პროექტის ერთდროულ განხორციელებას შესაძლოა ჰქონდეს.

გარდა ამისა, საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია არსებული 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის დემონტაჟი და ახალი 110 კვ ძაბვის ეგზ-ის გაყვანა. სკოპინგის დასკვნაში სამინისტროს მოთხოვნის მიხედვით (32.17), დაზუსტებას საჭიროებდა ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობების შესრულების ვადების, კომპანიებს შორის არსებული ურთიერთშეთანხმებისა და საპროექტო არეალში გათვალისწინებული საქმიანობებით მოსალოდნელი ჯამური/მასშტაბური ზემოქმედების შესახებ. მიუხედავად ამისა, გზშ-ის ანგარიშში კომპანია არ აზუსტებს ეგზ-ის რეკონსტრუქციის ვადებს და წარმოდგენილია მხოლოდ ასეთი ზოგადი ჩანაწერი: „გზშ-ს ანგარიშში მითითებული მოწყობის პერიოდის ვადების გათვალისწინებით რეკონსტრუქციის სამუშაოები დასრულდება საპროექტო ტერიტორიაზე კუდსაცავის მოწყობის სამუშაოების დასრულებამდე. შესაბამისად, საპროექტო კუდსაცავის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობის პროცესში სხვა ტიპის სამშენებლო სამუშაოები არ იწარმოებს და სამშენებლო პროცესებით გამოწვეულ კუმულაციურ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება“.

- საპროექტო კუდსაცავის დამბის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განთავსების ტერიტორიის ფარგლებში დაგეგმილია 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ტანძიას“-N69 ანძიდან - N85 ანძამდე მონაკვეთის რეკონსტრუქციის სამუშაოები.

110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ტანძიას“-N69 ანძიდან-N85 ანძამდე მონაკვეთის რეკონსტრუქციის გარემოზე ზემოქმედების ანგარიშში მითითებული მოწყობის პერიოდის ვადების და საპროექტო კუდსაცავის სანებართვო პროცედურის პერიოდების

გათვალისწინებით ეგხ-ს რეკონსტრუქციის სამუშაოები დასრულდება საპროექტო ტერიტორიაზე საპროექტო კუდსაცავის მოწყობის სამუშაოების დაწყებამდე.

შესაბამისად, საპროექტო კუდსაცავის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობის პროცესში სხვა ტიპის სამშენებლო სამუშაოები არ იწარმოებს და სამშენებლო პროცესებით გამოწვეულ კუმულაციურ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

რაც შეეხება მუშევანი 2-ის ოქრო-სპილენძის საბადოს ღია კარიერული წესით მოპოვების პროექტის და საპროექტო კუდსაცავისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტის ფარგლებში ტყის ათვისებით მოსალოდნელ ზემოქმედების მინიმიზაციას, აღსანიშნავია, რომ ორივე პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობისათვის საჭირო ტერიტორიების გამოყენებისათვის, ფინანსურ ვალდებულებასთან ერთად დამატებით კომპანია იღებს ტყის გაშენების/აღდგენის ღონისძიებების განხორციელების ვალდებულებას.

21.8. შლამის მართვა

ანგარიშის 4.20.7.12 ქვეთავში (შლამის მართვა) ნათქვამია: „იმდენად, რამდენადაც შლამი შეიცავს მძიმე მეტალების საკმაო რაოდენობას (29 კგ/დლ), კომპანია მას განიხილავს როგორც სამთო ნარჩენს და განსაზღვრული აქვს მისი დროებითი განთავსება შესაბამის ადგილას, მომავალში მისგან მეტალების ამოკრეფის პერსპექტივით. ასეთ ადგილს წარმოადგენს სს „RMG Copper“-ის სპილენძ-პირიტის კუდსაცავი, რომელშიც განთავსებულ სამთო ნარჩენს დაახლოებით იგივე შემადგენლობა გააჩნია როგორც ქიმიური გამწმენდი ნაგებობიდან მიღებულ შლამს“; შესაბამისად სს „RMG Copper“-ის ფუჭი ქანების მე-2 სანაყაროებიდან დრენირებული დაბინძურებული წყლების გამწმენდი ნაგებობიდან მიღებული შლამის საბოლოო განთავსების ადგილად განსაზღვრულია სს RMG Copper-ის სპილენძ-პირიტის კუდსაცავი.

თუმცა, როგორც ცნობილია, სპილენძ-პირიტის არსებული კუდსაცავის პოტენციური თითქმის ამოწურულია და ის ახალი კუდსაცავის გახსნისთანავე დაიხურება. შესაბამისად, გაურკვეველია სად განთავსდება მძიმე მეტალების შემცველი შლამი არსებული კუდსაცავის დახურვის შემდეგ.

- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მოპოვების შემდეგ, კომპანია, ქიმიური გამწმენდი ნაგებობებიდან მიღებულ შლამის მართვას განახორციელებს არსებული სქემის მიხედვით, ხოლო ახალი კუდსაცავის მშენებლობის დასრულებისა და მისი ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ, როდესაც მოხდება სს „RMG Copper“-ის არსებული სპილენძ-პირიტის კუდსაცავის დახურვა/კონსერვაცია, შლამის დროებითი განთავსების ადგილი იქნება იმ პერიოდში მოქმედი ახალი კუდსაცავი.

21.9. ზემოქმედება სოციალურ გარემოზე

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გზშ ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას მოსახლეობასა და ადამიანის ჯანმრთელობაზე დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით შესაძლო პირდაპირი და არაპირდაპირი, კუმულაციური, ტრანსსასაზღვრო, მოკლევადიანი და გრძელვადიანი, პოზიტიური და ნეგატიური ზემოქმედების შესახებ; და სამოქმედო გეგმას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების შედეგების, მათი თავიდან აცილების, შემცირების, შერბილებისა და კომპენსაციის ღონისძიებათა შესახებ. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს როგორც საქმიანობის განხორციელების, ისე შემდგომი ექსპლუატაციის ეტაპებს.

„ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სს „RMG Copper“-ის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (ახალი კუდსაცავის, მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობა და საწარმოს წარმადობის გაზრდა) სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 18 აპრილის N 2-301 ბრძანებით დამტკიცებული სკოპინგის დასკვნის თანახმად, „გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს ასახული პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ გარემოზე, ასევე განსაზღვრული უნდა იყოს ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით.

განსახილველ დოკუმენტში რამდენიმე გვერდი ეთმობა ტექსტს სათაურით „14.13 ზემოქმედება სოციალურ გარემოზე“ რომელსაც არაფერი აქვს საერთო ზემოხსენებულ მოთხოვნებთან. აქვე მითითებულია რომ „ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე მოსალოდნელი ზემოქმედება და შესაბამისი ღონისძიებები დეტალურადაა განხილული ავარიული სიტუაციების მართვის გეგმაში“; თუმცა, რა თქმა უნდა ავარიული სიტუაციების მართვის გეგმაში არ არის მსგავსი ინფორმაცია.

დაგეგმილი საქმიანობის ზეგავლენა მოსახლეობასა და ადამიანის ჯანმრთელობაზე არ არის შეფასებული და შესაბამისად, არც შემარბილებელი ღონისძიებებია წარმოდგენილი.

- გზშ ანგარიშში განხილულია სოციალური ზემოქმედების საკითხები. შესაბამის თავებში აგრეთვე განხილულია ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ნეგატიური გავლენის შემცირებისა და თავიდან არიდებისათვის გასატარებელი ღონისძიებები, როგორიცაა მონიტორინგთან დაკავშირებული საკითხები, შრომისა და ტექნიკური უსაფრთხოების საკითხები.

რაც შეეხება კომპანიის მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობით ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე მოსალოდნელ ზემოქმედებას (რისკებს) და შესაბამისი შემარბილებელ ღონისძიებებს, აღნიშნული საკითხები განხილულია ავარიული სიტუაციების მართვის გეგმაში. (იხ. გზშ-ს დანართი 4. ავარიული სიტუაციების მართვის გეგმა; თავი 4. მოსალოდნელი საგანგებო ვითარების შედეგად გამოწვეული უარყოფითი შედეგები, არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსების ანალიზი და შეფასება ტერიტორიაზე არსებული კონკრეტული საქმიანობების მიმდინარეობის პროცესებში პრევენციული ღონისძიებები გვ.56-114; თავი 14. კუდსაცავის დამბის გარღვევა; გვ. 180-202).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე „მწვანე ალტერნატივის“ შენიშვნა ამ ნაწილშიც არ უნდა იქნეს გაზიარებული.

21.10. სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული საკითხების შესახებ ინფორმაცია

„ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სს „RMG Copper“-ის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (ახალი კუდსაცავის, მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობა და საწარმოს წარმადობის გაზრდა)“ სკოპინგის დასკვნის თანახმად, გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული საკითხების შესახებ (ერთიანი ცხრილის სახით).

ასეთი ცხრილი (დანართი 10. ინფორმაცია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2022 წლის 04 აპრილის N15 სკოპინგის დასკვნაში წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასების შესახებ) დოკუმენტში არის, თუმცა ცხრილში წარმოდგენილი ინფორმაცია, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, არაადექვატურია. ასე მაგალითად: პირველივე პირობაზე, რომლის თანახმად, გზმ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას (მუხლი მოიცავს საკითხების ვრცელ ჩამონათვალს, რომლიც გზმ-ში უნდა იყოს განხილული) კომპანია უთითებს: „გათვალისწინებულია. იხილეთ პარაგრაფი 1.1 გზმ-ს მიზნები და ამოცანები და პარაგრაფი 2.4. ანგარიშის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი“. მითითებული პარაგრაფების დასახელებებიდანაც ჩანს, რომ ამ ქვეთავებში სულ სხვა ინფორმაციაა წარმოდგენილი.

- მსგავსი შინაარსის საკითხთან დაკავშირებით კომპანიის პოზიცია იხ. ზემოთ პუნქტი 12; გვ.19.

21.11. მიგვაჩნია, რომ ყველა ზემოაღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით, სს „RMG Copper“-ის მიერ წარმოდგენილი გზმ-ის ანგარიში არასრული და არათანმიმდევრულია, არაერთი საკითხი საჭიროებს დაზუსტებას და ზოგიერთი საკითხი კი საერთოდ არ არის შესწავლილი და შეფასებული. ამიტომ, მასზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება არ უნდა გაიცეს.

ასევე ვიმედოვნებთ, რომ გარემოს ეროვნული სააგენტო გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელებს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 17.4 მუხლით და გაითვალისწინებს RMG ჯგუფის კომპანიებზე უკვე გაცემული გადაწყვეტილებების საქმიანობის შემდგომი ანალიზის შედეგებს. გამოცდილება აჩვენებს, რომ კანონის მოთხოვნების შეუსაბამო დოკუმენტებზე გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე განსახილველი ინფორმაციის პოსტ ფაქტუმ წარდგენის დავალდებულების პირობები (გარდა იმისა რომ, უკანონოა და აზრს არის მოკლებული) კომპანიის მიერ, როგორც წესი, არ სრულდება.

- „მწვანე ალტერნატივის“ შენიშვნას არ ვიზიარებთ ვინაიდან, დოკუმენტი არის სრული, დეტალური და ამომწურავი, სტრუქტურა ნათელი და აღქმადი, ტექსტი თანმიმდევრული და წაკითხვადი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და მოთხოვნილი ინფორმაცია საკმარისად არის მასში წარმოდგენილი, ჩატარებულია ყველა საჭირო კვლევა და ანალიზი, მათ შორის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოთქმული

შენიშვნების გათვალისწინებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მწვანე ალტერნატივის მოთხოვნა, უარი ითქვას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემაზე, არის დაუსაბუთებელი და არ უნდა იქნეს გაზიარებული.